ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

**2 ივლისიდან**

ანა სიუელი

**მშვენიერი შავრა**



„მე მიყვარს კითხვა“

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**



გვ.7

**ნიკა მელიას ელექტრონული სამაჯური დაუმაგრეს**

ხუთშაბათი, 4 ივლისი, 2019 №156 (8110) ფასი: 60 თეთრი

# „თალაკვაძის, კალაძისა და კობახიძის ფრთა ოპოზიციას გახარიას წინააღმდეგ გაურიგდა“



გოჩა მირცხულავა: „კვირიკაშვილიც ამათთან არის ალიანსში“



გვ.3



## ნათია მეზვრიშვილი: „მთავარი არაა, ვინ გასცა ბრძანება, მთავარია, იყო თუ არა პოლიციელების ქმედებები კანონიერი“

გვ.5



## კახა კუკავა: „ბოკერიას პარტია რუსეთის გრუ-მ შეუქმნა“

გვ.4



## ლევან ალაფიშვილი: „ყველა მთავრობა საქართველოში თავისმა გარემოცვამ დაღუპა“

გვ.2

### სამართალი

გვ.7

**ადვოკატი გიგუაშვილი: „სვეტის“ დამფუძნებელი და დირექტორი განაჩენს გაასაჩივრებენ“**





**ანა დოლიძე: „იუსტიციის საბჭოს სია სასამართლოს შიგნით კლანის არსებობას ადასტურებს“**



**შსს: „20–21 ივნისის მოვლენებში იუსტიციის სამინისტროს სპეცრაზმი არ მონაწილეობდა“**

### ეკონომიკა

გვ.6

ლუკოილი ვისოლი

**ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებზე ნავთობპროდუქტები 3–6 თეთრით გაძვირდა**



**რატომ შემცირდა ინფლაციის მაჩვენებელი**



**პარლამენტი აზარტული თამაშობების რეკლამის გავრცელების შესახებ ახალ კანონპროექტს იღებს**

ISSN 1987-9385

2 გია ნოდია: „პროპორციული არჩევნების უკან პარტიების დაქსაქსულობის გეგმაა ჩადებული“

2 კახი კალაძე: „გავრილოვის სისხლიან ღამეზე“ პასუხისმგებლობა კონკრეტულ პოლიტიკურ ლიდერებს ეკისრებათ

4 „ოცნება“ მარიამ ჯაშის და რომან კაკულიას დასჯას აპირებს

8 ევროპარლამენტის პრეზიდენტად ყოფილი იტალიელი ჟურნალისტი აირჩიეს

# გია ნოდია: „პროპორციული არჩევნების უკან პარტიების დაქსაქსულობის გეგმაა ჩადებული“

## „ოცნების“ „ტროლები“ აქციის ორგანიზატორების წინააღმდეგ მაინცდამაინც ეფექტიანი ვერ იქნება“

იაგო ნაცვლიშვილი



პროპორციულ არჩევნებზე გადასვლასთან დაკავშირებით ქართული ოცნების მომზადებული ინიციატივის პაკეტის პრეზენტაციას პროპუტინისტური პარტიები და ფსევდო-ოპოზიციური პარტიები დაესწრნენ, – დაახლოებით ასე ჟღერს რამდენიმე იმ ოპოზიციონერი პოლიტიკოსის განცხადება, რომელთაც სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა მისვლა გააპროტესტა პრეზენტაციაზე.

ვის ინტერესებშია ის, რომ ოპოზიცია გაიხლიჩოს და ერთმანეთს დაუპირისპირდეს, რამდენად ღრმა დაპირისპირება შესაძლოა იყოს, უნდა ველოდოთ თუ არა ახალი პარტიების გამოჩენას, რომელი მხარე დათმობს – საპროტესტო აქცია დაიშლება თუ „ოცნება“ მაინც დათმობს და გახარიას გაუშვებს თანამდებობიდან და რამდენად იმუშავებს ე. წ. ტროლები საპროტესტო ჯგუფის ლიდერების წინააღმდეგ? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ნოდია საუბრობს:

***– საზოგადოების პროტესტის შედეგად ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა მოიპოვა ის, რისთვისაც წლების განმავლობაში იბრძოდნენ და რასაც არცერთი ხელისუფლება არ თმობდა – პროპორციული არჩევნები, თუმცა ესეც ოპოზიციის დაპირისპირების საფუძველი გახდა, ვინ მივიდა და ვინ არ მივიდა პრეზენტაციაზე. ვის ინტერესებშია, რომ ოპოზიცია დაპირისპირებული იყოს?***

– თავისთავად ის, რომ პროპორციულ სისტემას „ქართულმა ოცნებამ“ მოაყოლა ბლოკების გაუქმებისა და აკრძალვის თემა, ეს აშკარად იმაზე მიუთითებს, რომ დაიქსაქსონ პარტიები. დაქსაქსვა ნიშნავს იმას, რომ შეიძლება მათ შორის კონფლიქტებიც იყოს. ეს ჩანაფიქრი რა თქმა უნდა არსებობს.

პრეზენტაციაზე ვინ მივიდა და ვინ არ მივიდა, ეს მაინც მოკლევადიანი საკითხია და პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. არჩევნების გამართვის დროს ეს ნაკლებად ემახსოვრებათ, მაგრამ ზოგადად მექანიზმი ჩადებულია იმისა, რომ პარტიები მაქსიმალურად დაიქსაქსონ. განსაკუთრებით ეს ეხება კოალიციებისა თუ ბლოკების აკრძალვას, ეს ძალიან ხელოვნური მეთოდია, რომელსაც სხვა არანაირი გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს, გარდა იმისა, რომ პარტიები დაიქსაქონ. ეს მიზანია ჩადებული ამ გეგმაში.

***– ანუ გამოდის, რომ ბიძინა ივანიშვილმა პროპორციული არჩევნების მიღების უკან პოლიტიკური ნაღმები ჩადო?***

– კი ბატონო, შეიძლება ამ სიტყვებითაც გამოვხატოთ, რომ ამ სქემის უკან ჩადებულია პოლიტიკური ნაღმები.

***– იმისთვის, რომ პარტიებმა თავად აირიდონ ასეთი რაღაც, რა უნდა გააკეთონ მათ?***

– ეგ თვითონ უნდა გადაწყვიტონ, მაგრამ შეიძლება პირობითად არაფორმალური შეთანხმებები დადონ, რომ ერთი პარტიის სიით იყარონ კენჭი სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებმა. ეს შეიძლება ყველასთვის მოსაწონი არ იყოს, მაგრამ ეს გამოსავალი არსებობს.

***– კიდევ ერთი საკითხი, რაზეც პარტიებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა, ეს არის პოსტსაარჩევნო პერიოდში ვისთან შექმნიან კოალიციებს. ამ საკითხს როგორ უყურებთ?***

– ყოველთვის დგას ხოლმე ეს საკითხი, ყოველთვის ეკითხებიან ჟურნალისტები არჩევნების წინ პარტიების ლიდერებს, რომ აი იმასთან შეხვალ თუ არა კოალიციაში, ან იმასთან კოალიციაზე უარს ამბობს და ა. შ. პარტიები ხანდახან დაპირებებს იძლევიან, რომ ვიღაც იმასთან არ გაერთიანდებიან, მაგრამ საქმე საქმეზე როცა მიდგება, მერე მაინც ერთიანდებიან. ასე, რომ ეს ყოველთვის თან ახლავს ასეთ არჩევნებს, როდესაც მოსალოდნელია, რომ იყოს არა ერთპარტიული, არამედ კოალიციური მთავრობა.

***– იმას თუ ელოდებით, რომ 2020 წლისთვის ახალი პოლიტიკური ძალები გამოჩნდება, ისეთი, რომელიც აქამდე არ ყოფილან? თუნდაც ამ საპროტესტო ტალღიდან ხომ არ გამოვა ასპარეზზე პარტია?***

– სავსებით შესაძლებელია. ყველა არჩევნების წინ ჩნდებიან ახალი პარტიები და როდესაც საარჩევნო ბარიერი აღარ არსებობს, ეს ნიშნავს, რომ დამატებითი სტიმულია იმისათვის, რათა ახალი პარტიები შეიქმნას.

***– რამდენად ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალა იქნება ის, ეს რაზე არის დამოკიდებული?***

– ეს უკვე დამოკიდებულია ლიდერის ვინაობაზე, რამდენად ცნობადი სახეა, რამდენად ბევრი ფული ექნება პარტიას და სხვადასხვა აქტივობებზე, იდეებზე და ა. შ.

***– არ იშლებიან რუსთაველზე ახალგაზრდები აგრძელებენ პროტესტს, ხოლო მეორე მხრივ არც ხელისუფლება აპირებს დათმობას იმ თვალსაზრისით, რომ გახარია გაუშვას. როგორ წარმოგიდგენიათ პროცესები?***

– არ ვიცი როგორ წარმომიდგენია. ხშირად ყოფილა საქართველოში, როდესაც ორივე მხარე უარს ამბობს კომპრომისზე და რა მოხდება. შეიძლება ისეთი რამე მოხდეს და პროცესი ისე განვითარდეს, რომლის პროგნოზირებაც არ ჩანდეს, მაგრამ შეიძლება ასეთი დაპირისპირება, ანუ „ორმხრივი სიჯიუტე“ გაგრძელდეს.

***– უკვე გამოუშვა სავარაუდოდ „ქართულმა ოცნებამ“ „ტროლები“ პროტესტის გამომხატველი ჯგუფის ლიდერების წინააღმდეგ. იმუშავებს ეს მეთოდი ისევ, რაც უკვე ბევრჯერ მომხდარა ჩვენს რეალობაში?***

– „ტროლები“ მათ თავიდანვე გამოუშვეს, როგორც კი პროტესტი დაიწყო. არ ვიცი რამდენად იმუშავებს. რაღაც დოზით შეიძლება იმუშაოს, მაგრამ არა მგონია, რომ მაინც და მაინც ეფექტიანი მეთოდი იყოს.

# ლევან ალაფიშვილი: „ყველა მთავრობა საქართველოში თავისმა გარემოცვამ დაღუპა“

ნათია ხურცილავა



კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ლევან, აქციის მოთხოვნის მიუხედავად, გიორგი გახარია თანამდებობას ინარჩუნებს, სანამ გამოძიების შედეგები არ დაიდება. თქვენ როგორი მოლოდინი გაქვთ, რა შეიძლება იყოს ამ აქციების კულმინაცია?***

– ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ გადის წლები და ჩვენმა პოლიტიკურმა ელიტამ თავისი ქცევა და აზროვნება ვერ დააკორექტირა. ჩვენი საზოგადოება ყოველთვის წინ არის, პოლიტიკური ელიტა კი უკან.

ის, რასაც 20 ივნისის შემდეგ ვუყურებთ რუსთაველის გამზირზე, სრულიად ახალია. ეს რეალობა ცვლის პოლიტიკურ მოცემულობას. დღეს ქუჩაში დგას ჩემი შვილების თაობა, რომელიც სრულიად განსხვავებულად აზროვნებს და ამ აზროვნებაში მას ხელისუფლება ჩამორჩება, ვერ მიყვება.

იმის ნაცვლად, რომ სწორედ ამ ახალგაზრდებთან გამართოს ხელისუფლებამ მოლაპარაკება, ის მას გაურბის. ეს ის თაობაა, რომელიც არავის აპატიებს ასეთ შეცდომას. თუ ამას ვერ გააცნობიერებს ხელისუფლება, ის უპირობო მარცხისთვის არის განწირული.

***– ჩვენ გვახსოვს, როგორ იკრიბებოდა რუსთაველზე საპროტესტო აქციები სულ სხვა მოთხოვნით და მეორე დღეს უკვე პრეზიდენტის გადადგომას ითხოვდნენ. ეს ახალგაზრდები თავიანთ მოთხოვნებშიც თანმიმდევრულები არიან.***

– დიახ. ძალიან დასაფასებელია, რომ ისინი მოთხოვნებშიც თანმიმდევრულები არიან. წავიდეს გახარია და ჩვენც წავალთ სახლებში, ასეთია მათი პოზიცია. ისინი ძალიან პრინციპულები არიან. ამიტომ, ვერაფერს უხერხებს ვერც მთავრობა და ვერც სხვა პოლიტიკური სპექტრი.

თუკი ხელისუფლება გააგრძელებს ჯიქურ წაყრუებას, ეს აქცია ისტორიაში თავისი ხანგრძლივობითაც შევა თანმიმდევრულობასთან ერთად.

***– ივანიშვილი რამდენად აცნობიერებს ამ ყველაფერს? შეიძლება ჩავთვალოთ, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა სწორედ ამის ნიშანია?***

– შეიძლება ამ კითხვაზე ჩემი პასუხი უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ნამდვილად ასეა: ბიძინა ივანიშვილს არათუ ახლა, როდესაც ის პრემიერობიდან წავიდა, მას შემდეგ ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული, რომელ ქვეყანასთან, რომელ საზოგადოებასთან აქვს საქმე და სად გადაწყვიტა, პოლიტიკაში შესულიყო.

ეს მან უტყუარად კარგად იცის. ასევე, ისიც კარგად იცის, რომ პასუხისმგებლობას ასე მარტივად ველარ მოიხსნის.

ივანიშვილი არ არის პოლიტიკოსი. მას არ ჰყავს პოლიტიკური გუნდი, რომელიც იქცევა თანამედროვე სტანდარტებით, რომელსაც აქვს პოლიტიკური ცოდნა და ასევე, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობა აღებული.

მთავარი შეცდომა მაშინ დაუშვა ივანიშვილმა, როდესაც პრემიერის პოსტიდან ისე წავიდა, რომ პოლიტიკური პლურალიზმის შესაქმნელად არაფერი გააკეთა. ის, რაც მაშინ თქვა, სავსებით სწორი იყო – ვგულისხმობ მესამე სექტორის გაძლიერებას ხელისუფლების დასაბალანსებლად, საზოგადოების პოზიციიდან მის პოზიციონირებას, მაგრამ ეს არ გამოუვიდა.

განაცხადი სწორი იყო, საქმე კი – არასწორი, ვგულისხმობ „მოქალაქეს“ თუ 20-30-ის შექმნას, რამაც ვერ გაამართლა, რადგან ეს იყო პარტიული დღის წესრიგით შექმნილი ორგანიზაცია.

ყველა მთავრობა საქართველოში თავისმა გარემოცვამ დაღუპა, რომელიც პრეზიდენტს ეუბნებოდა – გარეთ კაშკაშა მზე ანათებს. სინამდვილეში კი მთვარე ანათებდა.



# კახი კალაძე: „გავრილოვის სისხლიან ღამეზე“ პასუხიმგებლობა კონკრეტულ პოლიტიკურ ლიდერებს ეკისრებათ

თბილისის მერის კახი კალაძის თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო ღირსეული გადაწყვეტილება პროპორციული საარჩევნო სისტემის ამოქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც საზოგადოების მოთხოვნა იყო.

მისივე თქმით, „გავრილოვის სისხლიან ღამეზე“ პოლიტიკური პასუხიმგებლობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს ეკისრებათ.

„მოსახლეობა მიიღებს გადაწყვეტილებას, რამდენი პარტია იქნება პარლამენტში. „ნაციონალური მოძრაობის“, რომელიც ემიჯნება ფაქტიურად ამ გადაწყვეტილებას და მოვისმინეთ მათი ლიდერის განცხადება, სატყუარა თუ რაღაც დაარქვა ამ პროცესებს, რაც კატეგორიულად მიუღებელია და გაუგებარია ჩემთვის, მათთვის ერთ-ერთი ამოცანა არის როგორმე დააზიანონ ქვეყანა, მოაწყონ გადატრიალება, ხალხი დააპირისპირონ ერთმანეთს, ეს არავის გამოუვა მეგობრებო. შინაგან საქმეთა მინისტრმა ძალიან მკაფიოდ უპასუხა დასმულ შეკითხვას. პასუხისმგებლობას რაც შეეხება, პოლიტიკური პასუხიმგებლობა ეკისრებათ იმ კონკრეტულ უპასუხისმგებლო პოლიტიკურ ლიდერებს, ვინც იმ ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს მოუწოდებდა, შევარდნილიყვნენ, შტურმით აეღოთ პარლამენტი და თვითონ გაიპარნენ. ეს იყო რეალური“ – აღნიშნა თბილისის მერმა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „თალაკვაძის, კალაძისა და კობახიძის ფრთა ოპოზიციას გახარიას წინააღმდეგ გაურიგდა“

შორენა მარსაგიშვილი





## გოჩა მირცხულავა: „კვირიკაშვილიც ამათთან არის ალიანსში“

რატომ არაფერი შეიცვლება გახარიას გადადგომით, რა ფარული გარიგებაა „ოცნებასა“ და ოპოზიციას შორის, ვის სურს ივანიშვილის დასუსტება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ესაუბრება.

***– საზოგადოების დიდი ნაწილი შს მინისტრის გადადგომას ითხოვს. ამ დროს თქვენ სოციალურ ქსელში წერთ, რომ გახარიას წასვლით და მის ადგილზე სხვახარიას დანიშვნით არაფერი შეიცვლება. თქვენი აზრით, გახარია უნდა დარჩეს თანამდებობაზე?***

– მოდით, ყველამ გავუსწოროთ რეალობას თვალი. ჩემთვის სრულებით გაუგებარი იყო გასულ კვირას „ქართული ოცნების“ მიერ გავრცელებული განცხადება. რომლითაც მმართველმა პარტიამ გახარიას მომხრეებს მოუწოდა, თავი შეეკავებინათ შს მინისტრის მხარდამჭერი აქციის გამართვისგან.

სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, რას ნიშნავს ტერმინი გახარიას მომხრეები, როდესაც განცხადებას „ოცნება“ აკეთებს. განცხადების ტექსტს ფსიქო-ლინგვისტური პასაჟებით თუ შევხედავთ, გასაგები ხდება, რომ მმართველ გუნდში შს მინისტრის მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც უხვად არიან.

ასეთ განცხადებას, როგორც წესი, პოლიტსაბჭო აკეთებს. შესაბამისად, პარტიული ხელმძღვანელობა რალაცნაირად გაემიჯნა მინისტრს. ამ ფონზე საინტერესო გახდა მოვლენების სხვა რაკურსით და პოლიტიუმორისტული პასაჟით დანახვა.

იუმორის და ხუმრობის დრო ახლა ნამდვილად არ არის, მაგრამ საინტერესოა, როგორ მოახერხა მმართველმა პარტიამ ის მინისტრი გაეწირა, რომელმაც მათი ბეწვზე დაკიდებული არსებობა გადაარჩინა.

***– თუ გუნდმა მართლა გაწირა გახარია, ეს სასაცილო უკვე აღარ არის.***

– იუმორისტული კუთხით თუ არ შევხედავთ, აქ ბევრი სხვა მომენტი ჩანს. საქართველოში ბოლო წლებში მრავალი დარბევა და დაშლა გვახსოვს, მაგრამ არცერთ მინისტრს ამაზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე არ აუღია. მოქმედმა შს მინისტრმა აიღო პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე.

***– მან თქვა, რომ მე პასუხისმგებელი ვარ მიუხედავად იმისა, თუ ვინ გასცა ბრძანებაო. ამ განცხადებამაც გააჩინა კითხვის ნიშნები.***

– ამით მინისტრმა რაღაც ბრჭყალები დატოვა. ამას მოჰყვა „ოცნების“ ის ცნობილი განცხადება. ამით დაიწყეს გახარიას დაშანტაჟება. რალაცნაირად გუნდიდან გამიჯნეს და მის მომხრეებს გაჩერებისკენ მოუწოდეს.

„ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე ვისურვებდი, რომ ამ ეტაპზე შს მინისტრი არ გადამდგარიყო. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ამ ადამიანის მხარდამჭერი ვარ.

მიმაჩნია, რომ ამ ქვეყანაში ნებისმიერმა პოლიტიკურმა პერსონამ თავის ქმედებებზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა აიღოს. აქედან გამომდინარე კარგი იქნებოდა, თუ ბატონი გახარია 21 ივნისს გადადგებოდა. შესაძლოა, გადამდგარიყო კიდევაც, მაგრამ, როგორც ჩანს, რალაც ისე არ არის.

ამის მანიშნებელია მინისტრის განცხადება ბრძანების გამცემზე და ამით შეშინებული „ოცნების“ განცხადება, რომელიც მინისტრს გაემიჯნა.

***– აშკარაა, რომ გახარია „ოცნებაში“ არ უყვართ. გასული წლის ივნისში დათუნა სარალიძის საქმეზე სერიოზული გამოსვლები იყო. თავიდან იქ მთავრობის გადადგომას ითხოვდნენ, მაგრამ მერე მხოლოდ გახარიაზე შეჩერდნენ. მაშინ ითქვა, რომ ამის უკან კვირიკაშვილი იდგა, რომელმაც წელს უკვე ღიად მოითხოვა ქვეყნის მთავარი პოლიციელის გადადგომა.***

– შიდა გუნდური ბრძოლა მის წინააღმდეგ შარშანაც მიმდინარეობდა. გახსოვთ ალბათ, ეს ადამიანები გასულ წელს ერთხმად იძახდნენ, საქართველოში სიღარიბე დავამარცხეთო. და მერე უცებ ნახეს გაეროს კვლევა, ერთი ამბავი ატეხეს, ეს რა მძიმე დღეში უცხოვრია საქართველოში ხალხსო.

„ქართული ოცნების“ იმ ფრთამ, რომელმაც გახარიას მომხრეებს მოუწოდა, ჭკვიანად ყოფილიყვნენ, თვითლუსტრაცია მოახდინა ბევრი მიმართულებით.

ახალგაზრდობა, რომელიც რუსთაველზე მომდინარე აქციებში მონაწილეობს, არის სრულიად გულწრფელი. იქ მდგარ პოლიტიკურ ოპოზიციასთან დაკავშირებით კი, რომელიც შს მინისტრის გადადგომას ასე დაბეჯითებით ითხოვს, სრულიად სხვა განცდა მაქვს.

ეს ის ხალხია, რომელსაც ერთი ფრაზითაც კი არ გაუპროტესტებია ირაკლი კობახიძის პარლამენტში დარჩენა. არადა სწორედ კობახიძეა ის ადამიანი, რომელმაც გამოიწვია 20 ივნისს განვითარებული მოვლენები. ასეთი პერსონა არათუ დატოვეს პარლამენტში, არამედ ივანიშვილმა მთავარ მომლაპარაკებლად დასვა ოპოზიციასთან.

ამას არავინ არ აპროტესტებს. არავინ ითხოვს, რომ კობახიძემ პარლამენტი დატოვოს. ვრცელდება ინფორმაციები, რომ მას ან უზენაეს სასამართლოში გადაიყვანენ, ან – საკონსტიტუციოში.

როდესაც ოპოზიცია ამაზე არ რეაგირებს, ეს მე მის დიდ პოლიტიკურ შეცდომად მიმაჩნია. ახლა უფრო რთულ სიტყვას არ გამოვიყენებ.

როდესაც პოლიტიკური პროცესების მწყობრი გააზრება არ არსებობს და ცალკეული პოლიტიკური გუნდები თუ პერსონები ცდილობენ, ამ ვითარებაში საკუთარი მომავალი გამოძერწონ, დიდი ბოდიში, მაგრამ მათ საქართველოს ბედზე მაფიქრალებად ვერ აღვიქვამ. ვერ აღვიქვამ თუნდაც მათი წარსული მოღვაწეობიდან გამომდინარე. აქვე დავაკონკრეტებ, რომ ნაციონალურ მოძრაობას არ ვგულისხმობ.

თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ოპოზიციის გამუდმებული ძახილი – გახარია უნდა წავიდეს – შეთანხმებულია „ოცნების“ იმ ფრთასთან, რომელმაც მოაწყო ზატულინის პროვოკაცია.

***– ზატულინის პროვოკაციაში რას გულისხმობთ?***

– 20 ივნისის მოვლენებს ყველა გავრილოვის პროვოკაციად მიიჩნევს, მე კი ამას ზატულინის პროვოკაციად ვთვლი. ზატულინი გახლავთ სწორედ მართლმადიდებელ ქვეყანათა საპარლამენტო ასამბლეის დამფუძნებელი. საერთაშორისო ასპექტებს თუ შევხედავთ, პროვოკაციის თანამონაწილე გახლავთ ასამბლეის ბერძენი თანათავმჯდომარე.

**„ოპოზიცია ასე ამბობს, ბახტაძეს მაინც არავინ არაფერს არ ეკითხება. ამას იმიტომ ხომ არ აკეთებენ, რომ მოსახლეობის ზურგს უკან კიდევ რაღაც ხდება და ვიღაცები ერთმანეთს ურიგდებიან. ზოგი ფულის გამო მიდის გარიგებაზე, ზოგიც – მომავალი პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად“**

მოდით, ზატულინს თავი დავანებოთ და პრაგმატულად შევხედოთ მოვლენებს. ვინ ურიგდება „ოცნების“ ნეოკომკავშირულ გუნდს, რომელიც პარლამენტის და პარტიის მთავარ ბირთვად რჩება?! ეს კრიზისი ამ გუნდის მიერ არის შექმნილი და ახლა ცდილობენ, ხელი აღმასრულებელ ხელისუფლებას და კონკრეტულად გახარიას შეაწმინდონ.

პოლიტიკურმა ოპოზიციამ ასევე ძალიან კარგად იცის, რომ 20 ივნისის ღამით პარლამენტის შენობაში იმყოფებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რომელმაც დარბევამდე 10 წუთით ადრე თქვა, რომ რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზი მათი სტილი არ არის.

უკაცრავად, მაგრამ გახარიამ თუ საგანგებო დავალებათ დეპარტამენტმა მასთან შეთანხმების გარეშე დაიწყო რეზინის ტყვიების სროლა? ოპოზიცია მისი პასუხისმგებლობის საკითხს რატომლაც არ აყენებს. მეტსაც გეტყვით, შეგნებულად ხდება მისი პერსონის გაუბრალოება

***– რას გულისხმობთ მისი პერსონის გაუბრალოებაში?***

– ოპოზიცია ასე ამბობს, ბახტაძეს მაინც არავინ არაფერს არ ეკითხება. ამას იმიტომ ხომ არ აკეთებენ, რომ მოსახლეობის ზურგს უკან კიდევ რაღაც ხდება და ვიღაცები ერთმანეთს ურიგდებიან. ზოგი ფულის გამო მიდის გარიგებაზე, ზოგიც – მომავალი პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად.

სხვანაირად რითი უნდა ახსნან, რომ შს მინისტრის გადადგომას ითხოვენ და მის გვერდზე მყოფი პრემიერის გვარსაც კი არ ახსენებენ. ცნობისთვის, ბახტაძე მთავრობის მეთაურია და შს მინისტრზე მაღლა დგას,

***– ბახტაძე პრემიერი კი არის, მაგრამ ოპოზიციის გარეშეც ხომ კარგად ვიცით, რომ მას მართლა არაფერს არ ეკითხებიან.***

– ერთია, რომ არაფერს ეკითხებიან, მაგრამ მეორეა პასუხისმგებლობა. ბახტაძე პრემიერია და მანაც უნდა აგოს მომხდარზე პასუხი.

გავითვალისწინოთ ისიც, რომ 20 ივნისის ღამე არ იყო პანკისი, სადაც გიორგი გახარია ჩავიდა მარტო და სადაც ის ფაქტის წინაშე დააყენეს.

თბილისში სულ სხვა მოცემულობა იყო – 20 ივნისის ღამეს მთავრობა პარლამენტში თითქმის სრული შემადგენლობით იყო შეკრებილი და, რაც მთავარია, პრემიერი იქ იყო. ძალის გადამეტებაზე და დაშავებულ ადამიანებზე მასაც უნდა მოეთხოვოს პასუხი.

ესენი მარტო გახარიაზე ლაპარაკობენ და ჰგონიათ, რომ ვერაფერს ვხვდებით. ეს პოლიტიკური ვირეშმაკობები ოდესღაც ხომ უნდა დასრულდეს. ასევე უნდა დასრულდეს ხალხის ხარჯზე ოპოზიციის ცალკეული ჯგუფების გარიგება ხელისუფლებასთან.

მაინც არ მესმის, საპარლამენტო რესპუბლიკაში რატომ არ ვთხოვთ პასუხისმგებლობას ირაკლი კობახიძეს, რომლის სპიკერობის დროს შეიქმნა ეს პოლიტიკური კრიზისი.

გაგახსენებთ იმასაც, თუ რა იყო 20 ივნისს ხალხის და ოპოზიციის ერთადერთი მოთხოვნა. ისინი ირაკლი კობახიძის გადადგომას ითხოვდა. ის იმ მომენტში არ გადადგა და ამას მოჰყვა ყველაფერი.

ამ კრიზისის გამომწვევმა თქვა, რომ პასუხისმგებლობას იღებს და გადადგა, მას არავინ აღარ ახსენებს და გახარიას გაიძახიან. თუკი ეგრეა, მაშინ იმანაც თქვა, ჩემს თავზე ვიღებ პასუხისმგებლობასო. ეგეც ადგება და გადავა მინისტრის მოადგილედ. აი, ეს არის პოლიტიკური ვირეშმაკობა.

ამ ვირეშმაკობაში ჩვენი პოლიტიკური ოპოზიციის აბსოლუტურ უგუნურობასაც ვხედავ. სიმართლე თუ გინდათ გითხრათ, არ არის ეს უგუნურობა. ეს გონივრულად გადადგმული ნაბიჯია.

კარგით, ვთქვათ, გადადგა გახარია და მის ნაცვლად მოვიდა სხვახარია, ამით პოლიტიკურად რა იცვლება. თქვენ როგორ გგონიათ, მან არ იცის, რისთვის ზის ვანო მერაბიშვილი ციხეში?!

პოლიციის კორდონს რომ მოეხსნა ჯაჭვი და ოპოზიციის წარმომადგენლები პარლამენტში შეეშვათ, რამდენი სამართალდამცავი იქნებოდა დღეს სამსახურიდან გათავისუფლებული ანდა დაკავებული? ამაზე იფიქრა ვინმემ?

ჩემთვის ამოსავალი წერტილი არის ადამიანის უფლებები, მაგრამ ნებისმიერი ადამიანის უფლება იზღუდება იქ, სადაც წინა პლანზე გამოდის სახელმწიფოს უფლება. ამ შემთხვევაში ვერც იმაზე ვიდავებთ, რომ პოლიციას არ უნდა გამოეყენებინა ძალა.

***– ძალას გააჩნია. საკითხავი ისაა, რამდენად პროპორციული ძალა იქნა გამოყენებული?***

– ამაზე შეგვიძლია ვიდავოთ, მაგრამ იმაზე არა, რომ პოლიციას ძალა უნდა გამოეყენებინა. ის, ვინც ამას ამბობს, სახელმწიფო ინსტიტუციის ნგრევის მომხრეა. ისინი პირდაპირ ეუბნებიან პოლიციას, შენ სახელმწიფო კი არ უნდა დაიცვა, არამედ მე უნდა დამიცვა, როცა ხელისუფლებაში მოვალ.

ისევ ბახტაძეს მინდა დავუბრუნდე. გახსოვთ, აქამდე ოპოზიცია მას დედას ბუშტს რომ ეძახდა? ახლა იგივე ხალხი გაიძახის, დედა, რა ბედნიერია ბახტაძე, მის გვარსაც კი არავინ ახსენებს. იმასაც ამატებენ, ბულკივით ბიჭია და არაფერზე პასუხს არ აგებს. ეს არის მიზანმიმართული ნარატივი.

ისე არ გამიგოთ, თითქოს ბახტაძის გადადგომას ვითხოვ, უბრალოდ, ოპოზიციის მიკვირს – მათ იციან, რომ ეს პერსონა დარბევის დროს იქ იყო და მის გადადგომას არ ითხოვენ.

ვერც იმას გავიგებ, როგორ არ აპროტესტებენ პარლამენტში ირაკლი კობახიძის დარჩენას, რომლის სინდისზეც არის ის, რაც 20 ივნისს მოხდა. იმის მაგივრად, რომ პარლამენტიდან მისი გაგდება მოითხოვონ, მასთან ერთად პროპორციულ სისტემაზე მსჯელობენ. ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებ, რომ ეს ოპოზიცია გარიგებაშია „ქართული ოცნების“ კონკრეტულ ფრთასთან.

***– რომელ ფრთასთან არიან გარიგებაში, შეგიძლიათ გვითხრათ?***

– ეს გახლავთ კობახიძის, თალაკვაძის, კალაძის ფრთა. „ოცნების“ მთავრობაში ყველაზე ჩამოყალიბებული ფიგურა იყო გახარია. რომელსაც უკავია შს მინისტრის და ვიცე-პრემიერის, ასევე უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტი. შესაბამისად, მისი, როგორც საყრდენის, გამოცლა იქნება ბიძინა ივანიშვილის დასუსტება. ოპოზიციას ეს გათვლა აქვს.

ამიტომაც ითხოვენ გამუდმებით მის გადადგომას. შს მინისტრის გადადგომა მაისში, პანკისის მოვლენების გამოც მოითხოვეს. ზუგდიდშიც სერიოზული ფონი მზადდებოდა ამ პროცესებისთვის – ოპოზიციის მიზანი იყო და არის გახარიას პოლიტიკური მოკვდინება.

ჩვენც რომ ვიყოთ ოპოზიციაში, ჩვენც უნდა მოგვეთხოვა გახარიას გადადგომა. ძლიერი ვინც არის, ის უნდა მოიშორო, თორემ აგერ კობახიძესთან მშვენიერი ურთიერთობა აქვთ.

***– ოპოზიციის სურვილი გავიგე, მაგრამ გახარიას ამბავში მათთან რატომ არიან ხელისუფლების წარმომადგენლები გარიგებაში შესული? მათაც აწყობთ ივანიშვილის დასუსტება?***

– რა თქმა უნდა, აწყობთ. ისინი სამომავლოდ ბიძინა ივანიშვილთან თავის პერსპექტივას ვერ ხედავენ. მალე გამოვლინდება მათი ნამდვილი სახე და ოპორტუნიზმი, ისინი გახდებიან ივანიშვილის პირველი მესაფლავეები.

არც კვირიკაშვილი გამოვარდნილა იმ დღეებში ტყუილად გახარიას გადადგომის მოთხოვნით. ისიც ამათთან არის ალიანსში, ფაქტიურად ერთი გუნდი არიან.

კიდევ ერთხელ ვამბობ, მე მესმის ახალგაზრდების პროტესტის, მაგრამ არ მინდა, რომ მათი და ჩვენი ემოციებით პოლიტიკოსებმა ივირეშმაკონ.

გაგახსენებთ მღებრიშვილის შს მინისტრობას, როცა ბათუმი კინაღამ გადაწვეს. მაშინ შს მინისტრის გადადგომა არავის არ მოუთხოვია. არც სხვა დროს გვსმენია სერიოზული კრიტიკა მისი მისამართით. რატომ? ჩემოდნებით მისდიოდათ ფული. ახლა გახარიამ დახურა ეს არხი და ამიტომ ატეხეს ერთი ამბავი? ეგრე არ გამოვა.

***– ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ გახარიასაც ხომ მოუვიდა ზედმეტები. თუნდაც ის, რომ ყველაფრის გაკონტროლება მოინდომა?***

– მოინდომა. ის ზედმეტად თავდაჯერებული გახდა და რაღაცები გამოეპარა. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ „ოცნების“ წევრების ინტელექტის ფონზე, ეს ნამდვილად კაშკაშა ვარსკვლავი იყო. ეს სიკაშკაშე იმდენად დაიჯერა, რომ მზესაც კი გაეჯიბრა.

გახარიას პოლიტიკაში დარჩენა თუ უნდა, მან ბევრი რაღაც უნდა გაიაზროს და გადაიაზროს. მან სერიოზული შეცდომა დაუშვა 20 ივნისის ღამეს, როცა პრევენციის მიზნით კატეგორიულად არ მოითხოვა პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენება. შეგახსენებთ, რომ იმ საღამოს აქციის მონაწილეები მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომას ითხოვდნენ.

ვერ გამოვდგები გახარიას დამცველად, მაგრამ „ოცნების“ ნეოკომკავშირლების და ოპოზიციის გარიგების შედეგად შს მინისტრად სხვახარიას დანიშვნა ჩემი ქვეყნისთვის სასარგებლო არ იქნება. ასე თუ უნდათ, მაშინ ღიად გარიგდნენ და კოალიციური მთავრობა შექმნან.

მოსახლეობის ზურგს უკან ვირეშმაკობა და ფარად ახალგაზრდების აფარება არის არასწორი.

# „ბოკერიას პარტია რუსეთის გრუ-მ შეუქმნა“

## კახა კუკავა: „ჩვენ არც ნაცებთან ვიქნებით და არც ქოცებთან“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.

***– ბატონო კახა, ახალი საარჩევნო სისტემა ჯერ მხოლოდ დაანონსებულია, ამან უკვე სერიოზული განხეთქილება გამოიწვია ოპოზიციაში. „ოცნების“ პრეზენტაციაზე მისული ოპოზიცია გაერთიანებულმა ოპოზიციამ ყველა ქოცად მონათლა, ყველა ბიძინას ნავში გადაჯდაო, პუტინის მონააო. რა ხდება?***

– პროპორციული სისტემა ნიშნავს იმას, რომ თეორიულად, არჩევნებში 50%-ის მიღების შანსი უქრება როგორც „ქართულ ოცნებას“, ისე ნაციონალურ მოძრაობას. ამის გამო არიან ისტერიკაში. მათ ქვეყნის განვითარება და რეფორმები რომ არ აწუხებთ, ეს ხომ აქედანაც კარგად ჩანს. მათ სჭირდებათ აბსოლუტური ძალაუფლება, ისეთი, როგორიც ჰქონდათ – ერთს 9 წელიწადი, მეორეს 7 წელიწადი. ქვეყანა რომ კარგად დააქციონ, მოსპონ, რეპრესიები მოაწყონ და სისხლის გუბეები დააყენონ, აი, ეს უნდათ.

***– პროპორციული სისტემას ამის საშუალებას არ იძლევა?***

– პროპორციული სისტემა ამის საშუალებას არ მისცემს. პროპორციული სისტემა ნიშნავს იმას, რომ მაქსიმუმ მესამედი ჰყავდეთ მომავალ პარლამენტში. შესაძლოა, მეოთხედი ან მეხუთედი. აი, ეს არის ძირითადი დაპირისპირების თემა. დაბალი ბარიერი ნიშნავს, რომ პოლიტიკური სპექტრი აღარ იქნება ორპარტიული და საქართველოს პარლამენტში გაჩნდება კიდევ ბევრი პოლიტიკური ძალა.

***– ეს სისტემა ხომ „ოცნების“ ხელისუფლებას შემოაქვს?***

– ხელისუფლებას არ აწყობდა და იძულებული გახდა, ამ პოლიტიკური კრიზისის ფონზე, თორემ რასაც ახლა იძახის ნაციონალური მოძრაობა, ზუსტად იგივეს იძახდა „ქართული ოცნება“ სულ რაღაც ერთი თვის წინ, როდესაც ჩვენ პროპორციულ სისტემაზე ვესაუბრებოდით.

დღეს კი ნაციონალები საუბრობენ ზუსტად იმას, რასაც ჩვენ მანამდე ვისმენდით „ქართული ოცნებისაგან“. ნაცებს იმედი ჰქონდათ, რომ ივანიშვილის დამარცხება ავტომატურად ნიშნავდა საქართველოში სააკაშვილის დაბრუნებას. პროპორციული სისტემა კი არ ნიშნავს ამას!

***– რუსეთის აგენტებზე როდესაც მიდის საუბარი, ბერძენიშვილების და ბოკერიას წარსულს იხსენებთ, ბევრს მოკლე მეხსიერება აქვსო და რისი თქმა გინდათ ამით?***

– ეს ცოტა ჩვენი ბრალიც არის, ამდენს რომ ვალაპარაკებთ ამ რუსეთის ნომრიან აგენტურას. როდესაც ისინი პროდასავლურობაზე ლაპარაკობენ და ამას გავატარებთ ხოლმე, სწორედ ესაა ჩვენი ბრალი, ხმას არ ვიღებთ და ამის



გამო არიან გათამამებულები. პროპუტინობასა და პრორუსობაზე ლაპარაკობს რუსეთის გრუ-ს მიერ შექმნილი რესპუბლიკური პარტია და ბოკერიას პარტია.

***– ასე ღიად ადანაშაულებთ?***

– ეს ხომ ისტორიული ფაქტია, ეს ხომ არ არის ისეთი რამ, რომ მარტო კახა კუკავამ იცის. მთელი 5 მილიონი კაცი არ ვუყურებდით ერთად, როდესაც ზვიად გამსახურდიამ უარი თქვა ესენგეში შესვლაზე, შემოიჭრა ქვეყანაში რუსეთის რეგულარული არმია, ამუშავდნენ რუსეთის რეზიდენტები და რაკეტებს ესროდნენ კანონიერ ხელისუფლებას. ხოლო ამ ყველაფერს მხარს უჭერდნენ ბერძენიშვილიც და ბოკერიაც. ეს რამე საიდუმლო ფაქტია და პირველად გავიგეთ?!

***– ბევრმა არ იცის.***

– შეიძლება ახალგაზრდებმა არ იციან, რადგან ტელევიზიებით ამის ტირაჟირება მოდაში არ არის. ხოლო იმ ასაკის ადამიანებს კარგად ახსოვთ ეს ყველაფერი.

რუსეთის ნომრიანი აგენტები იყვნენ! მათ მიიღეს რუსეთისგან დავალება, 22 დეკემბერს ელოდნენ ზვიადს, ის წავიდოდა თუ არა ალმა ატაში და მოაწერდა თუ არა ხელს ესენგეს სადამფუძნებლო ხელშეკრულებას.

როგორც კი უარი განაცხადა, გაუხსნეს ცეცხლი რუსეთის რეგულარულმა ჯარებმა. რაც მე ვთქვი, ვინმე გამოვიდეს და ერთ სიტყვაში შემედავოს! ყველაფერი არის 100%-იანი ისტორიული ფაქტი.

გამოდის ბერძენიშვილი და საუბრობს, კობახიძეს რატომ დაუჯექითო. ჯაბა იოსელიანს, კანონიერ ქურდს, ეჯდა მრჩეველთა საბჭოში. 1992 წლის 6 იანვარს, თენგიზ კიტოვანმა და ჯაბა იოსელიანმა შექმნეს სამხედრო საბჭოსთან არსებული რაღაცა მრჩეველთა საკონსულტაციო საბჭო, სადაც შეიყვანეს თავიანთი პარტიები. კანონიერ ქურდთან იჯდა და პირდაპირ მის დავალებებს იღებდა! ეს კაცი გამოდის და საუბრობს, ოპოზიციური პარტიები კალაძეს და კობახიძეს რატომ შეხვდითო.

***– ბოკერიაზე რას იტყვით? ის სად იყო? ის არ ჩანდა, არც აქტიურობდა.***

– ისიც ამ ხალხთან იყო იმ სამხედრო გადატრიალების დროს. უბრალოდ ასაკით უფრო პატარა იყო და შედარებით უკანა ფლანგზე იყო. სხვათა შორის, იქ იყო გაბაშვილიც. შეიძლება მეთაური არ იყო ბოკერია, მაგრამ თვითონ არასდროს არ დაუმალავს და არა მგონია, დღესაც დამალოს, რომ ისიც იმ ფლანგზე იყო, რომელიც მხარს უჭერდა გამსახურდიას დამხობას.

***– იმ ოპოზიციას, ვინც ამ შეხვედრაზე მივიდა, მოგაკერეს იარლიყი, ყველა ბიძინას ნავში გადაჯდაო. ამაზე რას იტყვით?***

– ამაზე საუბრობს ის ხალხი, რომლებიც ბიძინასთან კოალიციაში იყვნენ, მინისტრებად იყვნენ, დეპუტატებად იყვნენ, მილიონ-მილიონი ლარი ჩაირიცხეს, პრემიები ჩაირიცხეს, მოფერიანდნენ, მოსუქდნენ, ქონი დაიდეს და ახლა ლაპარაკობენ, რომ თურმე ჩვენ, მთელი ეს წლები რომ ბიძინას ოპოზიციაში ვიყავით, ახლა ვართ ბიძინას პარტნიორები.

ნამუსი არ არის, დათო ბერძენიშვილი რომ სხვას ეტყვის, ქოცი ხარო, თვითონ ნაქოცარი. პარტიას სახელი გადაარქვეს და მთელი ოთხი წელი ერქვა – „ქართული ოცნება – რესპუბლიკელები“, ეს აღარ გახსოვთ?!

გამოდიან და ახლა სხვისკენ იშვერენ თითს. რა უნდა უთხრა ახლა, ეს ადამიანები არიან სინდისისგან, მორალისგან და ნებისმიერი ეთიკური პრინციპისგან ბოლომდე დაცლილები.

***– წვრილ-წვრილ პარტიებს აწყობთ ნულოვანი ბარიერი, იმედი მიეცათ, რომ ამ ნულპროცენტიანი ბარიერით შევლენ პარლამენტში.***

– ბარიერი არ არის ნულპროცენტიანი, ბარიერი არის 0,7%-იანი და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბარიერსაც გადავლახავთ და ფრაქციასაც შევქმნით მომავალ პარლამენტში. რაც შეეხება ბერძენიშვილს, აი, ეგ არის ნულპროცენტიანი, იმიტომ, რომ 0,7%-იანი ბარიერი როცა არის და ბლოკს რომ ითხოვ, რამდენპროცენტიანი ხარ მაშინ?! ანუ 0,7-ზე ნაკლები ხარ, ხომ?!

***– თქვენ და გუბაზ სანიკიძეც დაუპირისპირდით ერთმანეთს. ვიცი, რომ ძველი თანამებრძოლები ხართ, მაგრამ ის დღეს სხვა ნავშია.***

– ის მეკითხება, თუ დადგება ალტერნატი-



ვა ქოცებსა და ნაცებს შორის პარლამენტში, შენ რომელ კოალიციაში შეხვალო? მე მოვიქცევი ზუსტად ისე, როგორც ეს გავაკეთე ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებზე – არც ერთი და არც მეორე.

თავად იგივე კითხვაზე ვერ მიპასუხა, ძალიან ბევრი იწვალა, მაგრამ ყველა კარგად ხედავს, რომ ის აპირებს ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად კოალიციის შექმნას საქართველოს პარლამენტში. ეს კარგად ჩანს.

***– გაერთიანებულ ოპოზიციას იმედი ჰქონდა, რომ დანარჩენი ოპოზიციაც მხარს დაუჭერდა და „ოცნებას“ საკუთარ პრეზენტაციასთან მარტო დატოვებდა, ეს რომ არ გამოვიდა, ამიტომ არიან გაბრაზებულები?***

– ამის იმედი თუ ჰქონდათ, არც ის ვიცი, ჰქონდათ თუ არა, მაგრამ ძალიან ცუდად შეეცადნენ ამის ტირაჟირებას. როცა ადამიანს ემუქრები, რომ შენ თუ იქ მიხვალ, პროპუტინელად გამოგაცხადებ, ამაზე მე რა უნდა მეთქვა, რომ ვაი, როგორ შემეშინდა, ბერძენიშვილმა პუტინის აგენტობა არ დამაბრალოს და აღარ მივალო?!

პოლიტიკურ პარტიებს შორის უნდა არსებობდეს ნორმალური სამუშაო წესი, კონსულტაციები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და არა ის, რომ რადგანაც საკუთარი ტელევიზია გაქვთ, ადგეთ და იარლიყები მოგვაკეროთ.

იმდენი იარლიყი მაქვს მოკრული ნაცებისგან და ქოცებისგან, რომ იმუნიტეტი მაქვს ძალიან ძლიერი!

# „ოცნება“ მარიამ ჯაშის და რომან კაკულიას დასჯას აპირებს

შორენა მარსაგიშვილი

გასულ კვირას საქართველოს პარლამენტმა არნახული ვაჟკაცობა ჩაიდინა და ნიკა მელიას დეპუტატის იმუნიტეტი მოუხსნა. ამ სამარცხვინო გადაწყვეტილებას მხარი მხოლოდ ორმა დეპუტატმა, მარიამ ჯაშმა და რომან კაკულიამ, არ დაუჭირეს.

საზოგადოების მხრიდან მათ ამის გამო დადებითი შეფასება დაიმსახურეს, სამაგიეროდ, „ოცნება“ და მისი მომხრეები გადაირივნენ.

გასულ კვირას მმართველი გუნდი პარტიიდან ჯაშის და კაკულიას გარიცხვასაც აპირებდა, მაგრამ მათ ლიდერს უცხოელებმა ნიკა მელიას გამო სულ თავზე ამხეს. ამ ფონზე იმ დეპუტატების გარიცხვა, ვინც კოლეგისთვის იმუნიტეტის მოხსნას მხარი არ დაუჭირა, კიდევ უფრო დაძაბავდა სიტუაციას.

მართალია, პარტიიდან ვერ გარიცხეს, მაგრამ ჯაშს და კაკულიას თანამდებობების დატოვება მოუწევთ. კაკულია პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს ხელმძღვანელობს, მარიამ ჯაში კი – განათლების კომიტეტს.





ოფიციალურად არავინ ადასტურებს, რომ ურჩების დასჯა იგეგმება, თუმცა მეოცნებეები პირად საუბრებში ამბობენ, რომ დეპუტატებს დასჯის შესახებ საუბარი საერთო ჩატში ჰქონდათ, საიდანაც ინფორმაციამ გაჟონა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი გიორგი ვოლსკი მსგავს მიმოწერას უარყოფს. ამბობს, რომ ეს საკითხი ჩატში გასარჩევი არ არის და გადაწყვეტილების მიღებამდე ამაზე გუნდმა უნდა იმსჯელოს.

– მათი გადასაწყვეტი არ არის, პრინციპში, ეს გუნდმა უნდა იმსჯელოს ამ საკითხებთან მიმართებაში. არ შეიძლება ასეთი საკითხები უყურადღებოდ რჩებოდეს, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ ოთარ დანელიამ და ნუკრი ქანთარიამ განცხადებები გააკეთეს და ამ ჩატმა გაჟონა და მოვიდა იქამდე, რომ მერე ბოლოს თქვენთან დაბრუნდა და კითხვად იქცა ჩემ მიმართ.

ასე რომ, აქ უფრო სერიოზულად არის საკითხი. მე მაქვს გარკვეული პრეტენზიები ამ ადამიანების მიმართ, მაგრამ რეალურად, როდესაც საკითხია, გაცილებით უფრო სერიოზული განხილვა და ყურადღება სჭირდება, ვიდრე რაღაცა ჩატიდან გამოტანილ ამბავზე კომენტარების კეთება, – განაცხადა მედიასთან საუბარში გია ვოლსკიმ.

მიუხედავად იმისა, რომ სასჯელი ემუქრება, მარიამ ჯაში პოზიციის შეცვლას არ აპირებს. ამბობს, რომ სწორად მოიქცა, კოლეგისთვის იმუნიტეტის მოხსნას წინააღმდეგ რომ წავიდა.

– უმრავლესობის შეხვედრამდეც, მე ვიყავი აბსოლუტურად მზად, რომ გამეზიარებინა ჩემი კოლეგების პოზიცია, თუკი ისინი წავიდნენ პრინციპულად, რომ ჩემი განსხვავებული პოზიცია შეიძლება ყოფილიყო პრობლემური, მე მზად ვიყავი ნებისმიერ გადაწყვეტილებისთვის. მათ შორის პოლიტიკური თანამდებობის დატოვებისთვის.

შეხვედრის შემდგომ, მე მოგახსენეთ შეხვედრის შედეგები, მას შემდეგ მსგავსი კომუნიკაცია არ მომხდარა და, ბუნებრივია, შემდგომ შეხვედრებზე თუკი წამოიწევს ეს საკითხი, მზად ვარ განხილვისთვის.

მე ისევ ვრჩები იმ პოზიციაზე, რომ ჩემი გადაწყვეტილება იყო სწორი და თუკი ეს შექმნის პრობლემას, მე ვერ ვხედავ პრობლემას, რომ დამატებითი რაიმე უხერხულობა შევუქმნა კოლეგებს, – აღნიშნა ჯაშმა.

# ზაქარია ქუცნაშვილი 20 ივნისის მოვლენებზე პასუხისმგებლობას ნაციონალებს აკისრებს



დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი 20-21 ივნისს პარლამენტის წინ განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება. რუსი დეპუტატის, სერგეი გავრილოვის მთავარმა მასპინძელმა 20 ივნისის სისხლიან ღამეზე პასუხისმგებლობა ოპოზიციას და სპეცრაზმელებს დააკისრა.

„ქართული ოცნების“ წევრი, ზაქარია ქუცნაშვილი მიიჩნევს, რომ აქციის დარბევის დროს სპეცრაზმელებმა რეზინის ტყვიების სროლის და ძალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება თვითნებურად მიიღეს. ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, სახელმწიფო თავის მოქალაქეებთან დამნაშავე არ არის.

– რომ არ ყოფილიყო ოპოზიციის მხრიდან უპასუხისმგებლო დამოკიდებულება და საქართველოს წარმატების გადაზრდა საქართველოს პრობლემაში, საქართველოს წარმატების გადაზრდა საქართველოს პრობლემაში ნიშნავდა იმ მოწოდებებს, რაც გაკეთდა ძალადობრივი შინაარსის მოწოდებების სახით, ისე არავინ დაზარალდებოდა. ასე, რომ სრულად პასუხისმგებლობა განვითარებულ მოვლენებზე ეკისრება უპასუხისმგებლო ოპოზიციას, რომელმაც უბიძგა მოქალაქეებს იმ ძალადობისკენ, რა ძალადობაც ჩვენ ვიხილეთ მთელი საათების განმავლობაში. ასე, რომ პასუხისმგებლობა პოლიციის რეაქციაზე თავიდან ბოლომდე აქვს ინსპირატორებს, ვინც გაუკეთა ინსპირირება ამ ძალადობას. გამოდის წინა პლანზე არა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, არამედ პოლიციელების ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, რომელი იქცეოდა პროპორციული ძალის გამოყენების ფარგლებში და რომელი გასცდა პროპორციული ძალის ფარგლებს. სახელმწიფო პირნათელია თავის მოქალაქეებთან, ცალკეული გადაცდომები იყო და ამაზე არავინ მალავს, – განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

ზაქარია ქუცნაშვილი მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი სახელმწიფო ინსტიტუტებს იცავდა და კანონის შესაბამისად მოქმედებდა.

– გახარია იცავდა სახელმწიფო ინსტიტუტებს, მოქმედებდა კანონის სრული შესაბამისობით. თქვენ ფიქრობთ, ან ვინმე ფიქრობს, რომ დანაშაულის ფაქტის დანახვის შემთხვევაში პოლიციელმა ზემდგომს უნდა დაურეკოს და შეუთანხმოს, რომ გამომიგზავნე წერილობითი თანხმობა ან სიტყვიერი ბრძანება, რომ დანაშაული აღვკვეთო, ძალიან ცდებით, კანონმა მიანიჭათ ეს უფლება, – განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

რუსთავი 2

# ლევან ჩაჩუა: „ნულოვანი ბარიერი ივანიშვილსაც აწყობს“

## „ივანიშვილმა რომ სააკაშვილის მანიაკალური სისტემა არ შეცვალა, იმიტომ დასთხარეს გოგო-ბიჭებს თვალები იმდროინდელმა დაგეშილმა ზონდერებმა“



მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ კრიზისულ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.

**ლევან ჩაჩუა:**

– დაძაბულობა გრძელდება, მაგრამ ის, რაც იყო ჩაფიქრებული, ჩაიფუშა. სახელმწიფო გადატრიალება არ გამოვიდა.

***– ვინ აპირებდა სახელმწიფო გადატრიალებას?***

– ნაცმოძრაობა, რომელიც სხვადასხვა პარტიაშია გაფანტული. ნაცმოძრაობას განზრახვა არ გამოუვიდა. ალბათ, მათთან გარიგებული იყვნენ „ქართულ ოცნებაში“ მოკალათებული ყოფილი ნაციონალები. „ქართული ოცნება“ და ყველა უწყება სააკაშვილის კადრებითაა სავსე. ნაციონალური მოძრაობის ყველა ფრთა კარგად გრძნობს თავს, მაგრამ ძველი პრივილეგიები დაკარგა. ეს ხალხი ძალაუფლების ვნების ტყვეობაშია. ამ ადამიანებს სააკაშვილის რეჟიმისა და აბსოლუტური ძალაუფლების დაბრუნება უნდათ. მათი რევანში ისევ ძალაშია და შეიძლება განმეორდეს.

***– სიმძიმის ცენტრი გადატანილია შს მინისტრ გახარიაზე, რომლის გადადგომასაც საზოგადოების დიდი ნაწილი მოითხოვს.***

– პოლიციაში ძალიან ცუდი ამბები ხდება. არსებობს საბოტაჟის საშიშროება. ყოფილი ზონდერები, რომლებიც სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს ემსახურებოდნენ, ქვეყანას საფრთხეს უქმნიან.

***– ამაზე მეტი რა საფრთხე უნდა შეუქმნან? ამ ხელისუფლებასაც უკვე სისხლიანს ეძახიან.***

– ეს სწორედ ამათი ნამოქმედარია. ივანიშვილმა რომ სააკაშვილის მანიაკალური სისტემა არ შეცვალა, იმიტომ დასთხარეს გოგო-ბიჭებს თვალები იმდროინდელმა დაგეშილმა ზონდერებმა. 2013 წლიდან მოყოლებული გავყვირით, რომ შესაცვლელია სისტემა, გასაშვებია სისხლზე დაგეშილი ხალხი, რომელიც სააკაშვილის უზნეო სასტიკ დავალებებს გეგმის გადაჭარბებით ასრულებდა.

მიტინგის დაშლასაც თავისი წესები აქვს. ნორმალურ სახელმწიფოებში აქციის მონაწილეებს ჯერ აფრთხილებენ, ხოლო თუ რეზინის ტყვიების გამოყენების აუცილებლობა დადგა, ამ ტყვიებს ფეხებში უშენენ. ამ მანიაკებმა ტყვიები დამიზნებით თვალებში ესროლეს ჩვენს ახალგაზრდებს და მათ უმოწყალოდ დასთხარეს თვალები. ერთი სული ჰქონდათ, დიდი მიტინგი მოწყობილიყო, რომ მერე ის დაერბიათ.

***– ამაში გახარიას პასუხისმგებლობა არ იკვეთება?***

– გიორგი გახარიას ყოველთვის ვაკრიტიკებდი. ის ბოდიშებს უხდიდა იმათ, ვინც ამის ღირსი არ იყო. ახლა ვიტყვი, რომ ეს სისხლიანი დარბევა მისი გადაწყვეტილება ვერ იქნებოდა. ივანიშვილია მარიონეტი და გახარია როგორ იქნება დამოუკიდებელი! ეს დარბევა გახარიას ბრძანებით ვერ მოხდებოდა.

***– ამ მოვლენებამდე გახარიას, გარკვეულად, ძლიერი ფიგურის იმიჯი ჰქონდა, თქვენ კი მას მარიონეტს უწოდებთ.***

– შს მინისტრი ძლიერი კი არ არის, ცბიერი და მოქნილია. მას შეუძლია ფარულად იმუშაოს სხვადასხვა ფრონტზე, არჩევნები იქნება ეს თუ ეკლესიის საქმეები.

***– მის გადადგომას არ მოითხოვთ?***

– ამ დღეებში რომ არ გადადგა, სწორად მოიქცა – ლგბტ-პრაიდისა და ნარკოდილერების მოთხოვნა რატომ უნდა შეესრულებინა!

***– ის საზოგადოება, რომელიც ყოველდღე იკრიბება პარლამენტთან, ხალხში სიმპათიას იწვევს. შეკრებილებს რომელიმე კატეგორიასთანაც არავინ აიგივებს. გახარიას წასვლა ფართო საზოგადოების მოთხოვნაა.***

– 2 ივლისამდე ასე იყო. კარგა ხნის განმავლობაში აქციებში მონაწილეობდა ყველა ასაკის ხალხის დიდი რაოდენობა. ეს გულწრფელი და პატრიოტი ადამიანები იყვნენ. 2 ივლისს მიტინგი გაიწმინდა. ჩვენ დავინახეთ, რომ თავყრილობას შემორჩნენ ლგბტ-პრაიდის მომწყობები და ის ნარკოდილერები, რომლებიც შარშან გაზაფხულზე იდგნენ ქუჩაში და საზოგადოებას აღიზიანებდნენ.

მიტინგის სპიკერი მიშა მშვილდაძე 2 ივლისს ამბობდა, 300 არაგველივით 300 კაცი დავრჩითო. ბევრმა ადამიანმა გაიაზრა, ვისთან დაიჭირა საქმე და მიხვდა, რომ ნაცებისა და ევრონაცების თამაშში ჩაითრიეს. ეს ადამიანები აქციაზე აღარ მივიდნენ. დარჩა ის ჯგუფი, რომელსაც უნდა პრივილეგიები მამათმავლებისათვის და ნარკოთავისუფლება. ამ აქციამ გარკვეულ მიზნებს მიაღწია.

***– მათი მოთხოვნების ნაწილი დაკმაყოფილდა?***

– დიახ. მათ მოახერხეს ხმაურის ატეხვა, ასევე პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენება და პროპორციული არჩევნების მიღწევა 2020 წელს.

***– მმართველმა პარტიამ ამას ნულოვანი ბარიერის დაპირება მოაყოლა. ოღონდ, არ ვიცით, გავა თუ არა პარლამენტში ეს პროექტი.***

– არა მგონია, ამას წინაღობები შეხვდეს. ივანიშვილმა ეს დაპირება იმიტომ გასცა, რომ პროპორციული სისტემა და ნულპროცენტიანი ბარიერი თვითონ ივანიშვილსაც აწყობს.

***– აქამდე მაჟორიტარებს ებღაუჭებოდნენ.***

– რთული სიტუაცია შეიქმნა, როცა ყველა, ტაქსის მძღოლით დაწყებული, გლეხით დამთავრებული, ივანიშვილს აგინებს. ხალხი პრობლემებს მის სახელს უკავშირებს.

ივანიშვილმა მოიფიქრა გამოსავალი, როგორ გადაანაწილოს პასუხისმგებლობა. მომავალ პარლამენტში ამ სისტემით შეიყვანენ ბევრ სუბიექტს. პირველ რიგში, ქოცებს, ნაცებს, ევრონაცებს, გირჩს, რესპუბლიკელებს. ეს იქნება ყველაზე ჭრელი საკანონმდებლო ორგანო მსოფლიო პარლამენტარიზმის ისტორიაში. რაც ქვეყანაში უკმაყოფილებას გამოიწვევს, იმაზე პასუხს მოსთხოვენ ჭრელ პარლამენტს, მის კოლექტიურ უმრავლესობას და კოალიციურ მთავრობას.

ხალხი ივანიშვილისკენ ხელს აღარ გაიშვერს. ამათ ხელში საქართველო გახდება ის, რაც იყო კუბა აშშ-ისთვის. უნდათ, რომ საქართველო გადაიქცეს ერთ დიდ ბორდელად, ნარკოჰაბად, ლგბტ-სამოთხედ და სათამაშო ინდუსტრიის ცენტრად, ასევე – გეოპოლიტიკური დაპირისპირების ადგილად.

***– გეოპოლიტიკური დაპირისპირება ისედაც არსებობს და არა მარტო საქართველოში.***

– მე უარესზე ვლაპარაკობ. აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების წინ მოსალოდნელია ომი (სავარაუდოდ, ლოკალური ომი) აშშ-სა და ირანს შორის. თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი აშშ-ს ირანზე ავიადარტყმებისთვის თავის საჰაერო სივრცეს და მიწას არ დაუთმობს. ამერიკა გამოიყენებს საქართველოს ტერიტორიას. ამაზე ხალხი თუ აღელდება, ივანიშვილი უკმაყოფილებას ჭრელ პარლამენტსა და კოალიციურ მთავრობაზე გადაიტანს. ამ დღეში რომ არ ჩავცვივდეთ, უნდა შეიქმნას ჯანსაღი ძალების ერთობა.

***– ამ ძალებში ვის მოიაზრებთ?***

– კონსერვატიული ძალების ერთობას. უნდა გავერთიანდეთ ის პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები, ვისთვისაც სამშობლო, ოჯახი, ეკლესია, ზნეობა, ტრადიციები მთავარია. თუ ჩვენ გავერთიანდით და პარლამენტში შევედით, დანარჩენები ქვეყანას ზიანს ვერ მოუტანენ.

ჩვენი ერთობა აუცილებელია. ახლა არ არის კინკლაობის და იმის თქმის დრო, ვინ სად იყო ადრე და ვის რა ამბიციები აქვს. გვჭირდება თანხმობა იმისთვის, რომ საქართველო არ გადავაქციოთ კუბად და გეოპოლიტიკური კონფლიქტის ადგილად.

# გრიგორი კარასინი: „სალომე ზურაბიშვილის განცხადებებმა ბომბის აფეთქების ეფექტი გამოიწვია“



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი აცხადებს, რომ სალომე ზურაბიშვილი, როგორც სახელმწიფოს მეთაური არ უნდა აძლევდეს თავს უფლებას, გააკეთოს ისეთი განცხადებები, რომელსაც ბომბის აფეთქების ეფექტი გააჩნია. საქმე ეხება ფრაზას, სადაც ზურაბიშვილმა რუსეთს მტერი უწოდა და განაცხადა, რომ მოსკოვი ქვეყანაში საზოგადოების დაყოფით არის დაინტერესებული.

– სალომე ზურაბიშვილის განცხადებამ ბომბის აფეთქების ეფექტი გამოიწვია, დემონსტრანტების წამოძახილები – ეს ყველაფერი ტელევიზიით აჩვენეს, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მე ერთ-ერთი ვარ იმ ადამიანთაგან, რომლებზეც ამ აფეთქებამ იმოქმედა. მეზობელი ქვეყნების ორმხრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს მეთაური თავს არ უნდა აძლევდეს ასეთი გამოთქმების უფლებას. ამას სიფრთხილით უნდა მიუდგეს და შეარჩიოს გამონათქვამები, – განაცხადა კარასინმა.

# ნათია მეზვრიშვილი: „მთავარი არაა, ვინ გასცა ბრძანება, მთავარია, იყო თუ არა პოლიციელების ქმედებები კანონიერი“

მთავარი საკითხი არ არის, იყო თუ არა ბრძანება, საერთოდ არსებობდა თუ არა ასეთი ბრძანება და ვინ გასცა ასეთი ბრძანება. მე საკითხს ასე დავაყენებდი – იყო თუ არა პოლიციელების ქმედებები კანონიერი.

ამის შესახებ ჟურნალისტებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნათია მეზვრიშვილმა 20-21 ივნისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განუცხადა.

როგორც ის განმარტავს, პოლიცია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვინაიდან მას თავს ესხმოდნენ.

კითხვაზე, რუსთაველის გამზირზე განვითარებული მოვლენებიდან 2 კვირის შემდეგ გამოძიებას რატომ არ აქვს კონკრეტული შედეგი, შს მინისტრის მოადგილე პასუხობს, რომ ეს დრო სრული სურათის დასადგენად საკმარისი არ არის.

– რამდენიმე ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება. სამოხელეო დანაშაულზე პროკურატურა აწარმოებს გამოძიებას. ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობს გამოძიება ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ხელმძღვანელობის და მასში მონაწილეობის ფაქტზე, ასევე პროკურატურა აწარმოებს პარლამენტის წევრის მიმართ გამოძიებას, – განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ ამ საკითხზე კომენტარს პირველად აკეთებს.

– პირველ რიგში, მინდა დავიწყო იმით, რომ ის, რაც მოხდა, იყო ძალიან მძიმე არამარტო იქ მყოფი ადამიანებისთვის, რომლებმაც ჯანმრთელობის დაზიანებები მიიღეს, არამედ ქართული პოლიციისთვისაც და პირადად ჩვენთვისაც.

დარწმუნებული ვარ, არავის ეპარება ეჭვი, რომ ოკუპაცია – ჩვენი ქვეყნისთვის საკმაოდ მძიმე საკითხი – აღელვებს არამარტო იმ ადამიანებს, რომლებიც აქციაზე იდგნენ, არამედ თითოეულ პოლიციელს. ის, რაც საზოგადოებამ იხილა, გარკვეული ფაქტები, სადაც შესაძლო უფლებამოსილების გადამეტება შეიძლება გამოიკვეთოს, პროკურატურა გამოძიებას აწარმოებს.

შეიძლება სუბიექტური ვიყო შეფასებაში, მაგრამ საკმაოდ მძიმე საქმეა, საკმაოდ მოცულობითი საგამოძიებო მოქმედებებია ჩასატარებელი. ალბათ, უმჯობესია, ეს კითხვა პროკურტატურას დაუსვათ.

მასშტაბური ღონისძიება იყო, უამრავი საგამოძიებო მოქმედებაა ჩასატარებელი, უამრავი კამერის ჩანაწერია ამოსაღები, ასობით და ათასობით ადამიანია დასაკითხი, რომელიც იქ იყო და ძალიან ბუნებრივია ის, რომ 24 და 48 საათში გამოძიება ვერ დასრულდება.



შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერესშია, რომ ეს გამოძიება მალე დასრულდეს, რადგან ყველა იმ კითხვაზე, რაც არსებობს სამინისტროს და ჩვენი მოქმედებების მიმართ, ობიექტური პასუხები გაეცეს, – განაცხადა მეზვრიშვილმა.

ვინ გასცა აქციის დაშლის ბრძანება? ამ კითხვას მინისტრის მოადგილე პირდაპირ არ პასუხობს.

– ბოლო დღეების განმავლობაში ძალიან ბევრი სპეკულაციები მოვისმინე, გარკვეული ადამიანების მხრიდან არის რაღაც მცდელობა, მინისტრის სახელის დისკრედიტაცია მოხდეს და პოლიციის თანამშრომლების, რიგით პოლიციელებს ვგულისხმობ, ასევე დაშინების და რაღაც დაძაბულობის შემოტანის სისტემის შიგნით.

მთავარი საკითხი არ არის, იყო თუ არა ბრძანება, საერთოდ არსებობდა თუ არა ასეთი ბრძანება და ვინ გასცა ასეთი ბრძანება. მე საკითხს ასე დავაყენებდი, იყო თუ არა პოლიციელების ქმედებები კანონიერი.

როცა პოლიციელის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრება საფრთხე, როცა პოლიციელზე მიაქვთ იერიში, როცა სახელმწიფო ინსტიტუტის შტურმით აღებას ცდილობენ, როცა პოლიციელებს კორდონიდან იტაცებენ, ხედავდით, როგორ სტაცებდნენ თავდაცვის საშუალებებს, როგორ ხდებოდა განიარაღება, უბრალოდ მაინტერესებს, თქვენ რომ პოლიციელი იყოთ, დალოდებოდით თუ არა ვინმეს ბრძანებას? რა თქმა უნდა, არა! კანონით შეიძლება, როგორც ბრძანების საფუძველზე მოქმედება, ისე ბრძანების გარეშე მოქმედება.

იყო გარკვეული ქმედებები, რომლის კანონით ბრძანების გარეშე განხორციელება წარმოუდგენელი და შეუძლებელია, იყო გარკვეული ქმედებები პოლიციელების მხრიდან, რომელთან დაკავშირებითაც პოლიციას დაუყოვნებლივ მოქმედების შესაძლობლობა აქვს.

არავის მივცემთ იმის შესაძლებლობას, რომ უდანაშაულო პოლიციელები, რომლებიც იმ ღამეს იქ იდგნენ, სახელმწიფო ინსტიტუტებს იცავდნენ, რომელთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე ემოქურებოდა, რომელთაც კორდონებიდან ათრევდნენ, რომლებსაც რკინის, სხვადასხვა ბლაგვ საგნებს უმიზნედნენ და ურტყამდნენ, ამ ადამიანების რაღაც სახალხო წესით გასამართლება მოხდეს.

მედიასაშუალებებით გავრცელებული სამწუხარო ფაქტებიც ვიხილეთ, სადაც შესაძლო გადაცდომები იკვეთება. მაქსიმალურად ვთანამშრომლობთ პროკურატურასთან, რომ იქ, სადაც კონკრეტული გადაცდომები იყო, შესაბამისი შედეგი დადგეს, – განაცხადა მეზვრიშვილმა.

მისივე განმარტებით, 20 ივნისის ღამეს, აქციის დაშლის ღონისძიებაში მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

– რაც შეეხება ქვედანაყოფებს, იყვნენ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის წარმომადგენლები, არავინ – სხვა. თუმცა, კანონით, თუ არსებობს ამის საჭიროება, სხვებსაც აქვთ ამგვარი უფლებამოსილება, რომ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღონ.

რაც შეეხება ტყვიებთან და ამ სპეციალურ საშუალებებთან დაკავშირებით პოლიციელების მოქმედებას, კიდევ ერთხელ გეუბნებით, პოლიცია იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ამ ადამიანებს თავს ესხმოდნენ და სრულიად ლეგიტიმურია, რომ საერთო ჯამში, ოპერაცია ლეგიტიმური, პროპორციული იყო, – განაცხადა მეზვრიშვილმა.

# პარლამენტი აზარტული თამაშობების რეკლამის გავრცელების შესახებ ახალ კანონპროექტს იღებს

**აზარტული თამაშობების ან/და ტოტალიზატორის შესახებ რეკლამის გავრცელება შესაძლოა შეიზღუდოს. სათამაშო ბიზნესის საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევას საქართველოს პარლამენტი უკვე მეორედ ცდილობს. პირველი შემთხვევა წარუმატებლად დასრულდა კანონპროექტი, რომელიც უკვე დამოუკიდებელმა დეპუტატმა ლევან გოგიჩაიშვილმა 6 კოლეგასთან ერთდ მოამზადა, საკანონმდებლო ორგანომ ჩააგდო.**



პირველი ვარიანტის ინიციატორები იყვნენ ლევან გოგიჩაიშვილი, ირაკლი (დაჩი) ბერაია, გოგა გულორდავა, ცოტნე ზურაბიანი, ბიძინა გეგიძე და ირაკლი აბუსერიძე. რაც შეეხება განახლებულ კანონპროექტს, ახალ ვერსიაზე 7 დეპუტატის ნაცვლად 3 პარლამენტარმა იმუშავა. ამ შემთხვევაში ინიციატორები არიან გოგა გულორდავა, ირაკლი (დაჩი) ბერაია და რატი იონათამიშვილი.

„კომერსანტი“ დაინტერესდა რა ცვლილებები შევიდა 19 ივნისს რეგისტრირებულ კანონპროექტში. დეტალებზე დეპუტატი ირაკლი (დაჩი) ბერაია საუბრობს. როგორც „ქართული ოცნების“ წევრი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, მას ჰქონდა მოლოდინი, რომ პარლამენტი ინიცირებულ კანონპროექტს აქამდეც განიხილავდა, თუმცა მისი მოლოდინები არ გამართლდა.

დეპუტატისთვის უცნობია, როდის განიხილავს პარლამენტი ახალ საკანონმდებლო პაკეტს. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე აცხადებს, რომ ცვლილებებთან დაკავშირებით სათამაშო ბიზნესთან კონსულტაციები არ ყოფილა. თუმცა, მისი თქმით, შეხვედრა შედგა სარეკლამო ბიზნესთან. როგორც დაჩი ბერაია ამბობს, ის ამ პროცესებში არ მონაწილეობდა.

– ძირითადად ცვლილებები შეეხო სპორტულ დაწესებულებებს. ანუ რეკლამები არ აიკრძალება მაშინ, როდესაც სპორტული ორგანიზაციის საქმიანობა სპონსორობის სანაცვლოდ განხორციელდება. გარე რეკლამის განთავსების რადიუსი კი ზოგადსაგანმანათლებლო და რელიგიური დაწესებულებებიდან 200 მეტრიდან 100 მეტრამდე შემცირდა, ეს პრინციპული ცვლილება არ იყო ეს შეიძლებოდა მეორე მოსმენითაც შეცვლილიყო. ახალი კანონპროექტის თანხმად, დასაშვები იქნება რეკლამის ვიზუალურად განთავსება ობიექტზე, მაგალითად, „კაზინო აჭარას“ რომ ეწეროს „კაზინო აჭარა“, თუმცა კანონით დაშვებული რეკლამის განთავსების ფართობი 10 კვადრატულ მეტრს არ აღემატებოდეს. ასევე იყო ცნება სპორტული დაწესებულებები, რაც ცოტა ბუნდოვანი იყო. ახალი კანონპროექტის შემთხვევაში სიცხადე შევიდა და დაკონკრეტდა რას ნიშნავს სპორტული დაწესებულებები. ვთვლით, რომ სოციალური ტვირთი შემცირდება, რადგან რეკლამები თავისთავად იმ რაოდენობით აღარ იქნება, მეორეს მხრივ კომპანიების მხრიდან გაიზრდება ინტერესი დაასპონსორონ სპორტული ღონისძიებები, – აცხადებს დაჩი ბერაია.

დეპუტატის თქმით, კანონპროექტთან დაკავშირებით მმართველ გუნდში კონსესუსი უკვე არსებობს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ წარმოდგენილი რედაქცია აუცილებლად დამტკიცდება.

შესაძლებელია პირველი და მეორე მოსმენების დროს კორექტირებები შევიდეს, – აცხადებს დაჩი ბერაია.

ინიცირებული კანონპრექტის მიხედვით ცვლილება რამდენიმე კანონში შედის, კერძოდ:

აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის ან/და ტოტალიზატორის ორგანიზატორის შესახებ რეკლამის გავრცელება და აბრის განთავსება

აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის ან/და ტოტალიზატორის ორგანიზატორის შესახებ რეკლამის რაიმე ფორმით ან საშუალებით, მათ შორის, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელით, გავრცელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

ა) აღნიშნული რეკლამა იმ ვებგვერდზე განთავსებით ვრცელდება, რომელზედაც აზარტული თამაშობა ან/და ტოტალიზატორი ეწყობა;

ბ) აღნიშნული რეკლამის გავრცელება სპორტული ღონისძიების, სპორტული შეჯიბრების ან/და სპორტული ორგანიზაციის საქმიანობის სპონსორობის სანაცვლო პირობაა;

გ) აღნიშნული რეკლამა გარე რეკლამაა და იგი ზოგადსაგანმანათლებლო და რელიგიური დაწესებულებებიდან არანაკლებ 100-მეტრიანი დაშორების განთავსებით ვრცელდება;

დ) აღნიშნული რეკლამა ვიზუალურად განთავსებულია იმ ობიექტზე, სადაც აზარტული თამაშობა ან/და ტოტალიზატორი ეწყობა, ამასთანავე, ამ რეკლამის განთავსების ფართობი 10 კვადრატულ მეტრს არ აღემატება და იგი აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის ან/და ტოტალიზატორის ორგანიზატორის შესახებ ერთადერთი რეკლამაა აღნიშნულ ობიექტზე.

2. დაუშვებელია იმ ობიექტზე, სადაც აზარტული თამაშობა ან/და ტოტალიზატორი ეწყობა, აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის ან/და ტოტალიზატორის ორგანიზატორის შესახებ ინფორმაციის შემცველი ერთზე მეტი აბრა განთავსდეს და ასეთ აბრას 10 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი ჰქონდეს.

აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის ან/და ტოტალიზატორის ორგანიზატორის შესახებ რეკლამის გავრცელების ან/და აბრის განთავსების წესის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 10.000 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებულის მიერ იმავე ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა - გამოიწვევს დაჯარიმებას 20.000 ლარის ოდენობით. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული ვალდებულია, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 კვირის ვადაში თავისი ხარჯით უზრუნველყოს იმ წესის/იმ წესების დაცვა, რომლის/რომელთა დარღვევის გამო მას ამ მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული სახდელი დაედო.

აკრძალულია აზარტული და მომგებიანი თამაშობების რეკლამა, გარდა სპორტული პროგრამის/რეპორტაჟის სპონსორობისა. სპონსორობის შემთხვევაში, დასაშვებია მხოლოდ აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორი მეწარმე სუბიექტის დასახელების ან/და სასაქონლო ნიშნის/ლოგოტიპის გავრცელება.

2) ამ მუხლის 22 პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება წამახალისებელი გათამაშების რეკლამაზე, გარდა აზარტული და მომგებიანი თამაშობების წამახალისებელი რეკლამისა.

კანონპროექტში ასევე აღნიშნულია, რომ ცვლილება შედის „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში, თუმცა კონკრეტულად რა და რომელ მუხლებში გამოქვეყნებულ რედაქციაში დაკონკრეტებული არ არის.

**კომერსანტი**

# რატომ შემცირდა ინფლაციის მაჩვენებელი

საქსტატის ინფორმაციით, 2019 წლის ივნისში წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში - 1.0 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 4.3 პროცენტი შეადგინა. თუ რამ გამოიწვია ინფლაციის შემცირება, საკითხზე განმარტებას აფბას ვიცე-პრეზიდენტი პაატა ბაირახტარი საკუთარ ფეისბუკ გვერდზე აკეთებს.

„კომერსანტი“ **პაატა ბაირახტარის** პოსტს უცვლელად გთავაზობთ:



– გამოქვეყნდა ივნისის ინფლაცია, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ფასები წინა თვესთან შედარებით შემცირებულია. უნდა გაგვიხარდეს ხო, ფასები შემცირდა, ცენტრალური ბანკი მიზნობრივ მაჩვენებელს უფრო მიუახლოვდა, საზოგადოების მსყიდველობითმა უნარმა მოიმატა, ცუდი რა არის ამაში.

ახლა რა ხდება სინამდვილეში, წინა თვეში ინფლაცია დაფიქსირდა 4.7 %, რაც საკმაო გადახრაა თარგეთიდან. თუ გავითვალისწინებთ, ივნისში მიმდინარე პროცესებს, კურსის მნიშვნელოვან დაცემას, საწვავის ფასის ისტორიულ მატებას, სავსებით ლოგიკურად ჩვენი ინფლაციის მაჩვენებელი, კიდევ უფრო უნდა გადახრილიყო მიზნობრივიდან, მით უფრო, რომ ჩვენი სამომხმარებლო კალათა მნიშვნელოვან წილად იმპორტული პროდუქციით ივსება. მაგრამ არა, საქსტატმა გვამცნო, რომ ივნისის ინფლაცია 4.3% ფარგლებში მერყეობს.

ჩნდება კითხვა, ეს როგორ?! როგორ და ასე, მართალია ფასები გაიზარდა კვერცხზე, შაქარზე, რძეზე, ყველზე ტკბილეულზე, სხვა პირველადი მოხმარების საქონელზე, ასევე ფასების მატება გვაქვს ტრანსპორტზე და ჯანდაცვაზე, მაგრამ ფასები შემცირებულია ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე. სწორედ ამ უკანასკნელმა განაპირობა ფასების საერთო დონის „შემცირება“ ქვეყანაში, – წერს პაატა ბაირახტარი.

**კომერსანტი**

# რუსთავი-თბილისის დამაკავშირებელი ავტობანის ფონიჭალის მონაკვეთი აღარ აშენდება

რუსთავი-თბილისის დამაკავშირებელი ავტობანის 4-კილომეტრიანი მონაკვეთი, რომელსაც ფონიჭალაში მდინარე მტკვრის გასწვრივ უნდა გაევლო, აღარ აშენდება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდი და მოსახლეობა განსახლებისა და კომპენსაციის საკითხებზე ვერ შეთანხმდნენ.

როგორც მგფ-ში Droa.ge-სთან საუბრისას განაცხადეს, მოსახლეობასთან შეთანხმება, რამდენიმეწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, უშედეგოდ დასრულდა. უწყების ცნობით, მშენებლობის არეალის მიმდებარედ მცხოვრებლები კომპენსაციის სახით 1 კვადრატულ მეტრზე 900-დან 1.000 დოლარამდე თანხას და ტერიტორიიდან განსახლებას მოითხოვდნენ, რის გამოც მათთან შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

– ჩავატარეთ ყველანაირი კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ მოსახლეობის განსახლების აუცილებლობა არ იდგა და ეს გზა მოსახლეობას ხელს არ უშლიდა. იმ თანხის გადახდა კი, რომლსაც კომპენსაციის სახით ითხოვდნენ, იყო არაგონივრული და მისი გადახდა შეუძლებელია, – ამბობენ მუნიციპალური განვითარების ფონდში.




თბილისი-რუსთავის გზის მშენებლობა, რომელიც აზიის განვითარების ბანკმა 10 მლნ ლარით დააფინანსა, სამ ლოტად იყო დაყოფილი, რომლიდანაც მეორე ლოტი აღარ აშენდება, ხოლო I და III ლოტის სამუშაოები, მგფ-ს ცნობით, დასრულებულია.

– პირველი და მესამე ლოტი, რომელიც თბილისიდან მიმავალ და რუსთავიდან მომავალ გზებს მოიცავდა, დასრულებულია და დარჩენილია მხოლოდ ფონიჭალის მონაკვეთი (II ლოტი), რომელსაც აღნიშნული ახალი გზები უნდა დაერთებოდა. ვინაიდან მეორე ლოტის მშენებლობა ვერ ხერხდება, ეს მონაკვეთები ჩვეულებრივ ფონიჭალის არსებულ გზას დაუკავშირდება, – განმარტავენ მუნიციპალური განვითარების ფონდში.

კითხვაზე, იგეგმება თუ არა სხვა ალტერნეტიული გზის მშენებლობა მეორე ლოტზე, აცხადებენ, რომ ამ დროისთვის მსგავსი სამუშაოები დაგეგმილი არ არის.

შეგახსენებთ, რომ რუსთავი-თბილისის დამაკავშირებელი ავტობანის მშენებლობა უკვე 5 წელია, გრძელდება. მოსახლეობამ გზის ამ მონაკვეთზე ავტობანის მშენებლობა არაერთხელ გააპროტესტა. აქ მცხოვრები ადამიანები ამბობდნენ, რომ მათი საცხოვრებელი სახლები ავარიულ მდგომარეობაშია და მიმდინარე სამუშაოები მათ სიცოცხლეს საფრთხეს შეუქმნიდა.

# ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებზე ნავთობპროდუქტები 3-6 თეთრით გაძვირდა

ნავთობპროდუქტები ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებზე საშუალოდ ლიტრზე 3-6 თეთრით გაძვირდა.

ევრო რეგულარის ახალი ფასი „გალფის“ ქსელში 2,54 ლარი ; „სოკარში“ – 2,43 ლარი ; „ვისოლში“ – 2,54 ლარი, ხოლო „ლუკოილის“ ქსელში – 2,46 ლარია.

5 თეთრით გაიზარდა საწვავის ფასი „ვისოლის“ ქსელის ბენზინგასამართ სადგურზე. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი ვასილ ხორავა აცხადებს, რომ საწვავზე ფასის მატების მიზეზი ნავთობპროდუქტებზე საერთაშორისო ფასის მატება და ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსია. ამასთან, მისი თქმით, შესაძლებელია, უახლოეს პერიოდში ფასი კიდევ დაკორექტირდეს.

– ორი მთავარი კომპონენტია რის გამოც იზრდება ფასი, ეს არის ნავთობპროდუქტებზე საერთაშორისო ფასის მატება და ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი. ამ ეტაპზე 5 თეთრით გაიზარდა ფასი, ძნელია იმის თქმა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება თუ არა საწვავის ფასი. ამ ეტაპზე ჩვენ ვიქნებით ადეკვატურები – თუ დაიწყება შემცირების ტენდეცია ჩვენც შევამცირებთ, თუ ზევით აიწევს კიდევ გავზრდით ფასს, – აცხადებს ვასილ ხორავა.

საწვავის ფასი გაიზარდა „ლუკოილის“ ქსელის ბენზინგასამართ სადგურზეც. როგორც გენერალური დირექტორის მოადგილე შავლეგ მიშველაძე განმარტავს კომპანია ისე გაზრდის ან შეამცირებს ფასს, როგორც იმ ეტაპისთვის არსებული მდგომარეობა უკარნახებს.

– როგორც ყოველთვის ახლაც ყველაფერი ერთად მოქმედებს საწვავის ფასზე. ვალუტის კურსის დევალვაცია და ასევე თითოეული ბიზნეს სუბიექტის გადაწყვეტილება. ვისაც როგორ უნდა ისე აწევს და დაწევს, მთავარია, კანონმდებლობასთან არ მოვიდეს წინააღმდეგობაში. კონკრეტულად ჩვენ დღეს დილიდან შევცვალეთ ფასები, რაც განპირობებული არის მსოფლიო ბაზრის ფასისა და ვალუტის კურის ერთობლიობით, – აცხადებს შავლეგ მიშველაძე.

აღსანიშნავია ის, რომ 2019 წლის 2 ივლისის ვაჭრობის შედეგებით მსოფლიოს წამყვან ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზე ნავთობის ფასი შემცირდა. ამის შესახებ ინფორმაციას ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი ავრცელებს.

**კომერსანტი**

## ნიკა მელიას ელექტრონული სამაჯური დაუმაგრეს



პროკურატურამ ნიკა მელიას დისტანციური კონტროლი დაიწყო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ოპოზიციის ლიდერს ელექტრონული სამაჯური გუშინ, 3 ივლისს, საღამოს, დაუმაგრეს.

ელექტრონული სამაჯურის დამაგრების შემდეგ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის გადაადგილების შესახებ ძალოვან უწყებას ყველა ინფორმაცია ექნება.

ნიკა მელიას ელექტრონული სამაჯური ხელზე დაუმაგრეს.

## გიგი უგულავა გამოკითხვაზე დაიბარეს



„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, გიგი უგულავა გამოკითხვაზე დაიბარეს.

ამის შესახებ უგულავა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს.

უგულავა საკუთარ პოსტში შინაგან საქმეთა მინისტრს, გიორგი გახარიას მიმართავს. როგორც უგულავა აღნიშნავს, ის შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოკითხვაზე მას შემდეგ მივა, რაც იქ თავად გახარია მივა.

„პერსონალურად ბატონო გახარია. მრავალგზის ვთქვი და რატომ აგდებთ თქვენს თანამშრომლებს უხერხულ მდგომარეობაში. გამოკითხვაზე შსს-ში მივალ მას შემდეგ, რაც თქვენ მიბრძანდებით. ამასთანავე, როგორც კანონმორჩილი მოქალაქე, მზად ვარ, თუნდაც ხვალ, მივიდე მაგისტრ მოსამართლესთან დაკითხვაზე. გთხოვთ, უზრუნველყოთ. მადლობა. პ.ს. ტელეკომპანია „პირველის“ კართან უწყისით ხელში დამხვდა კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი ჩართული კამერით აგერ ათი წუთის წინ“, – წერს გიგი უგულავა.

## შსს: „20–21 ივნისის მოვლენებში იუსტიციის სამინისტროს სპეცრაზმი არ მონაწილეობდა“

შინაგან საქმეთა სამინისტრო 20-21 ივნისს, პარლამენტის შენობასთან განვითარებულ მოვლენებში მონაწილე საპოლიციო ძალების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს.

როგორც უწყების განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნულ საპოლიციო ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფები.

„სხვადასხვა მედიასაშუალებით გავრცელდა დეზინფორმაცია, რომ თითქოს აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სამინისტროები ანდა მათი ქვედანაყოფები.

ამის ერთ-ერთი დადასტურებაა გავრცელებული ცრუ ინფორმაცია, რომ თითქოს ღონისძიებაში ჩართული იყო იუსტიციის სამინისტროს ე.წ. სპეცრაზმი.

გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულებით, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სპეციალური დანიშნულების ძალების სამმართველო 2019 წლის 14 თებერვლიდან გაუქმებულია. შესაბამისად, ამ ქვედანაყოფის საპოლიციო ღონისძიებაში მონაწილეობის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს“ – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

## ქუთაისში წმინდა ნინოს ქუჩაზე ევაკუაცია განხორციელდა

3 ივლისს ხანძარი გაჩნდა ქუთაისში – ცეცხლი წმინდა ნინოს ქუჩაზე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის სხვენში გაჩნდა.

მაშველებმა მიმდებარე ტერიტორიიდან ხალხის ევაკუაცია განახორციელეს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ადგილზე მობილიზებული იყო 25 მეხანძრე-მაშველი, 8 სახანძრო მანქანა, 1 ავტოკიბე და 2 სამაშველო მანქანა.

## ადვოკატი გიგუაშვილი: „სვეტის“ დამფუძნებელი და დირექტორი განაჩენს გაასაჩივრებენ“

სამშენებლო კომპანია“ სვეტი დეველოპმენტის“ დამფუძნებლის და დირექტორის გივი ჯიბლაძის და თორნიკე ჯანელიძის ადვოკატის ამირან გიგუაშვილის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფები თავს უდანაშაულოდ მიიჩნევენ და თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენს სააპელაციო წესით გაასაჩივრებენ.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფები მათი დაკავების დღიდან აცხადებენ, რომ არიან უდანაშაულოები და მათ მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა კონკრეტული პირების დაკვეთით არის ორგანიზებული. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვეთანხმებით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენს და ვაპირებთ კანონით დადგენილი წესით გავასაჩივროთ სააპელაციო ინსტანციაში, – განაცხადა ადვოკატმა.

მისი თქმით, როგორც გამოძიების პროცესში, ისე სასამართლო განხილვებისას არსებითად დაირღვა კანონი და მოსამართლემ მრავალტომიან საქმეზე დასკვნითი და საბოლოო სიტყვის მომზადებისთვის დაცვის მხარეს ერთი სამუშაო დღეც კი არ მისცა, რითიც კიდევ ერთხელ დადასტურდა, გივი ჯიბლაძის და თორნიკე ჯანელიძის მიმართ სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვა.

– დაცვის მხარეს მრავალტომიან საქმეზე, სასამართლომ ერთი სამუშაო დღეც კი არ მოგვცა, ვინაიდან იწურებოდა პატიმრობის ცხრათვიანი ვადა და ბოლო დღეს დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი.

გარდა ამისა, არსებობს არაერთი უკანონობა საქმეში როგორც გამოძიების პროცესში, ისე სასამართლო განხილვისას, რაზეც ცხადია, საჩივარში გავამახვილებთ ყურადღებას.

გივი ჯიბლაძის და თორნიკე ჯანელიძის მიზანმიმართული დაჭერით და სამშენებლო პროცესის შეჩერებით, დაზარალებულ მენაშენეებს სახლებს არავინ აუშენებს. ამიტომაც უნდა მოხდეს ისეთი გამოსავლის მოძებნა, რომ ერთი მხრივ არ დაირღვეს კანონი, ხოლო მეორე მხრივ დაზარალებულებმა მიიღონ სათანადო კომპენსაცია და გაგრძელდეს კონკრეტული ინტერესების მქონე, გავლენიანი ჯგუფის დაკვეთით, ხელოვნურად შეჩერებული მშენებლობები, – აცხადებს ამირან გიგუაშვილი.



2 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, სამშენებლო კომპანია „სვეტის“ დამფუძნებლის და დირექტორის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა.

„სვეტის“ დამფუძნებელ გივი ჯიბლაძეს 8 წლით, ხოლო დირექტორ თორნიკე ჯანელიძეს 6 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მათ ბრალად მენაშენეების კუთვნილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 3 356 385 ლარის თაღლითური გზით დაუფლება ედებათ.

## ანა დოლიძე: „იუსტიციის საბჭოს სია სასამართლოს შიგნით კლანის არსებობას ადასტურებს“



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შედგენილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის სია სასამართლოს შიგნით კლანის არსებობას ადასტურებს.

ამის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრმა ანა დოლიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, შედგენილ სიასთან დაკავშირებით არსებობს სერიოზული კითხვის ნიშნები.

– იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უმრავლესობამ სწორედ 20 ივნისს, „გავრილოვის ღამეს“ იხელთა მომენტი და 50 კაცამდე დაავიწროვა კონკურსანტთა სია. ამ სიის მიმართ, როგორც სახალხო დამცველმა მიანიშნა, არსებობს სერიოზული კითხვის ნიშნები. ჩემი აზრით, ეს სია ადასტურებს სასამართლოს შიგნით კლანის არსებობას.

როდესაც მესამეკლასელებივით ერთმანეთისგან გადაწერილი ბიულეტენები გვაქვს, ეს გვაძლევს საშუალებას, მივმართო საქართველოს პარლამენტს, თავი შეიკავოს, კენჭი უყაროს და ლეგიტიმურობა მიანიჭოს ამ სტილით შედგენილ სიას, ეს მხოლოდ და მხოლოდ დააზიანებს ჩვენს უზენაეს სასამართლოს, – განაცხადა დოლიძემ.

შეგახსენებთ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 137-კაციანი სიიდან უკვე შეადგინა ე.წ. გრძელი სია, რომელიც 50 კანდიდატისგან შედგება.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო აღნიშნულ 50 კანდიდატთან გასაუბრების პროცესს ჩანიშნავს. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისთვის ფარული კენჭისყრის შედეგად 50 კანდიდატიდან 20 შეირჩევა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან პარლამენტს განსახილველად 20 კაციანი სია გადაეგზავნება.

## ლიბერთი ბანკზე თავდამსხმელებს 7-7 წელი მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისთვის ბრალდებულები ა.ლ., გ.ხ. და ნ.ჯ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 19 აპრილს ნ.ჯ., ა.ლ., და გ.ხ. ქ. თბილისში, ვარკეთილი 3-ის მე-3 მიკრორაიონში მდებარე სს „ლიბერთი ბანკი“-ის ფილიალში ჯგუფურად, იარაღის მაგვარი საგნითა და ფეთქებადი ნივთიერების გამოყენებით თავს დაესხნენ ბანკის თანამშრომლებს და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით მოლარე ოპერატორებს სს „ლიბერთი ბანკი“-ის კუთვნილი 2.045 ლარი გასტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

„სამართალდამცველებმა სამივე ბრალდებული 2019 წლის 19 აპრილს დააკავეს, გ.ხ. და ნ.ჯ. ქ.თბილისში, ხოლო ა.ლ. ქ.ქუთაისში. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის გამოყენებით, ჯგუფურად) წარედგინათ და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.




თბილისის საქალაქო სასამართლომ ა.ლ., ნ.ჯ. და გ.ხ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“ – ნათქვამია განცხადებაში.

## პირი, რომელიც გიგა მაქარაშვილს მოკვლით ემუქრებოდა, პოლიციას იდენტიფიცირებული ჰყავს

პარლამენტის წინ მიმდინარე აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი გიგა მაქარაშვილი 2 ივლისს პოლიციაში გამოკითხვაზე იმყოფებოდა. გამომძიებლებმა მას მუქარის შემცველ შეტყობინებებთან დაკავშირებით დაუსვეს კითხვები.

გიგა მაქარაშვილმა გამოკითხვის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ პირი, რომელიც მას მოკვლით ემუქრებოდა, პოლიციას იდენტიფიცირებული ჰყავს.

სამოქალაქო აქტივისტის თქმით, აღნიშნული პირი შეცვლილი სახელით და გვარით გვერდიდან წერდა, თუმცა, მისი იდენტიფიცირება პოლიციამ უკვე შეძლო.

– ამ ადამიანს არ ვიცნობ, არასოდეს შეხება არ მქონია, არასდროს არ მოუწერია ჩემთან, არავითარი კონტაქტი ჩემთან არ ჰქონია. ზუსტად გინებით იწყებს და მუქარით იწყებს, არც არანაირი ძველი ნაცნობობა და არც რამის გახსენება არ აქვს, არანაირი კონტაქტი არ მქონია. მეტიც, ეს



კაცი არ არის დათო მაზანაშვილი, სხვა სახელით და გვარით არის მოსული, ბუნებრივია, რომ იმალება. თუმცა, როგორც ჩანს, ტექნოლოგიებში კარგად ვერ ერკვევა.

არ ვიცი სახელი და გვარი, თუმცა, მე როგორც მივხვდი, რა პროცედურებიც ჩატარდა იქ, სხვა სახელით და გვარით არის. მისი იდენტიფიკაცია უკვე მოახდინა პოლიციამ. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ შესაბამისი უწყებები ძალიან მალე მოახდენენ რეაგირებას იმიტომ, რომ მსგავსი ადამიანები დიდ ფსიქოლოგიურ საფრთხეს წამოადგენენ მოწყვლადი ჯგუფებისთვის, – განაცხადა მაქარაშვილმა.

## შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის უფროსს უფლებამოსილება შეუჩერდა



შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის უფროსს გიორგი ყაყიჩაშვილს უფლებამოსილება შეუჩერდა.

როგორც უწყებაში აცხადებენ, ყაყიჩაშვილს უფლებამოსილება დროებით 20-21 ივნისის აქციების საქმის გამოძიების დასრულებამდე შეუჩერდა.

შსს-ში 24 ივნისს გამართულ ბრიფინგზე აღინიშნა, რომ აქციის დაშლაში მონაწილე 10 სამართალდამცველს სამსახურებრივი უფლებამოსილება შეუჩერდა. ამასთან, აქციის დაშლის ოპერაციაში მონაწილე ორი სამართალდამცველის ქმედებაში გამოიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები.

20 ივნისს ღამით, პარლამენტის შენობის წინ სპეცრაზმმა რამდენჯერმე გამოიყენა ცრემლმდენი გაზი, ბოლოს კი აქციის მონაწილეები წყლის ჭავლით დაშალა, ასევე გამოიყენა რეზინის ტყვიები.

## ყაზბეგში ისრაელის მოქალაქე გარდაცვლილი იპოვეს

ყაზბეგის რაიონში, სოფელ გერგეთთან ისრაელის მოქალაქე გარდაცვლილი იპოვეს. არსებული ინფორმაციით, დაღუპული ყოფილი სამხედროა, რომელიც საქართველოში გიდად მუშაობდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველებმა სამძებრო სამუშაო 1 ივლისს, 112-ში შესული შეტყობინების საფუძველზე ჩაატარეს.

არსებული ინფორმაციით, ისრაელის მოქალაქე ხევში გადავარდა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

# აშშ-მ შესაძლოა ავღანეთიდან ჯარი არ გაიყვანოს



ავღანეთში ტერაქტები არ წყდება. უკანასკნელმა ტერაქტმა ქაბულში ყველა შეძრა. ქალაქის ცენტრში ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული მანქანა აფეთქდა. შედეგად დაიღუპა 6, დაიჭრა 116 ადამიანი.

– პირდაპირ შეძრული ვარ! ის, რაც ქაბულში მოხდა, ამაზრზენია, – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ.

ტერაქტზე პასუხისმგებლობა მოძრაობა „თალიბანმა" აიღო. აღსანიშნავია, რომ აშშ თალიბებთან ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მოლაპარაკებას აწარმოებს. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური ტრამპის პრეზიდენტობის ჟამს გახდა. ტრამპი ხომ ამომრჩეველს ჰპირდებოდა, პუტინთანაც საერთო ენას გამოვძებნი, ავღანეთიდან კი ჯარს გამოვიყვანო.

ქაბულის ტერაქტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ქვეყანაში ურთულესი ვითარებაა. ტრამპმაც თავის ინტერვიუში ავღანეთში შექმნილ მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ავღანეთიდან ჯარის გაყვანის შემთხვევაში ქვეყანა ტერორისტების ხელში აღმოჩნდება, აშშ კი ტერორისტების სამიზნედ გადაიქცევა.

– სჯობს, ტერორისტებს ავღანეთში ვებრძოლოთ, ვიდრე ამერიკაში, – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ავღანეთი ტერორიზმის ერთგვარ სკოლად გადაიქცა. ამ ადამიანების იდეოლოგიური მიმართულება მკვეთრად ანტიამერიკულია, ამიტომ ამერიკელი გენერლების უმრავლესობა ავღანეთიდან ჯარის გამოყვანის წინააღმდეგია.

– ამ ადამიანების კარგად მესმის, – ამბობს ტრამპი.

პრეზიდენტს გადაჭრით არ უთქვამს, რომ ავღანეთიდან ჯარს არ გაიყვანს. მან მხოლოდ ის შენიშნა, რომ ამ ეტაპზე ჯარის გაყვანა არ არის მიზანშეწონილი. მომავალში მან ჯარის გაყვანა არ გამორიცხა, თუმცა დაამატა, რომ აშშ-ის სადაზვერვო ძალები ავღანეთში მაინც დარჩებიან.

– ავღანეთში ამერიკის დაზვერვის დიდი ძალები დარჩებიან, – განაცხადა პრეზიდენტმა.

# ვლადიმერ ზელენსკი კანადაში ჩავიდა

უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი კანადაში ჩავიდა.



პირველივე დღეს ის უკრაინელ ემიგრანტებს შეხვდა. ზელენსკი უკრაინელთა მსოფლიო კონგრესის და ტორონტოს უკრაინელთა კონგრესის ლიდერებს ესაუბრა.

შეკითხვაზე, გაგრძელდება თუ არა პროდასავლური კურსი, ზელენსკიმ მიუგო, რომ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას ალტერნატივა არ აქვს და უკრაინა ამას არ გადაუხვევს.

– კურსი ნატოსა და ევროკავშირისკენ არათუ გაგრძელდება, არამედ უფრო კონკრეტული და რადიკალური გახდება, – განაცხადა ზელენსკიმ.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ უკრაინული ერთადერთი სახელმწიფო ენაა და ამის შეცვლა გამორიცხულია.

– უკრაინულის, როგორც ერთადერთი სახელმწიფო ენის სტატუსი კონსტიტუციითაა დაფიქსირებული! მე, როგორც პრეზიდენტი და კონსტიტუციის გარანტი, ამას განუხრელად დავიცავ! – თქვა ზელენსკიმ.

# რუსეთმა პასე-ში შესატანი საწევროს ნაწილი გადაიხადა



რუსეთმა პასე-ს 2019 წლის საწევრო გადაიხადა. ამის თაობაზე „რია ნოვოსტი" იტყობინება. ამავე დროს, მოსკოვი არ ჩქარობს წინა წლების დავალიანების დაფარვას.

როგორც ცნობილია, ყირიმის ანექსიისა და დონბასში ომის გაჩაღების გამო რუსეთ-ს პასე-ში ხმის უფლება ჩამოერთვა. პასუხად რუსულმა დელეგაციამ პასე პროტესტის ნიშნად დატოვა და საწევროების გადახდაც შეწყვიტა.

# ევროპარლამენტის პრეზიდენტად ყოფილი იტალიელი ჟურნალისტი აირჩიეს



ევროპარლამენტის წევრებმა მომავალ პრეზიდენტად ყოფილი იტალიელი ჟურნალისტი აირჩიეს.

დევიდ სასოლის პარლამენტარების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. კერძოდ, მან 667 ხმიდან 345 ხმა მიიღო.

ევროპარლამენტში პრეზიდენტის კანდიდატებს კენჭი გუშინ, 3 ივლისს, უყარეს. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად კენჭისყრის ორი რაუნდი გახდა საჭირო. პირველ რაუნდშიც დევიდ სასოლი ლიდერობდა.

გამარჯვებული კანდიდატი ევროპარლამენტს მომდევნო ორწელიწადნახევრის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# მოშინაურებულმა ნიანგებმა პატრონს შვილი შეუჭამეს



კამბოჯის ქალაქ სიემრეაპის გარეუბანში ნიანგებმა ბავშვი შეჭამეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი აზიური საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

კვირას, 30 ივნისს, ორი წლის გოგონა, სახელად რომა როატა ნერი, ეზოში მდებარე ნიანგების ფერმის ვოლიერთან მივიდა, წონასწორობა ვერ შეინარჩუნა და შიგნით გადავარდა. დედამისს ეს არ შეუმჩნევია, ვინაიდან თავის ახალდაბადებული ბავშვით იყო დაკავებული.

როდესაც ნერის მამა სახლში დაბრუნდა, გოგონა ვერსად იპოვა. შემდეგ მხოლოდ მისი თავის ქალა ნახა ნიანგების ვოლიერში.

მეზობლებმა ოჯახს თანაგრძნობა გამოუცხადეს. ნიანგების ფერმის ერთ-ერთი მფლობელის თქმით, რეპტილიის პატრონები უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდონ უსაფრთხოების საკითხებს და პატარა ბავშვები ნიანგების ვოლიერებთან ახლოს არ მიუშვან.

# მძღოლმა ნაგვით სავსე მანქანაში მუხრუჭს ვერ მიაგნო და ავარიაში მოჰყვა



ინგლისის ჰემპშირის საგრაფოში ნაგვით სავსე მანქანის მძღოლმა მისი დამუხრუჭება ველარ შეძლო და ავარია მოახდინა.

ვოლკსვაგენის მარკის მსუბუქი ავტომობილი გორაკის ფერდობზე შეჩერდა. სანამ მისი მძღოლი ნაგვის გროვაში მუხრუჭის სატერფულის მიგნებას ცდილობდა, მისი ავტომობილი ქვევით დაგორდა და გაჩერებულ ავტომობილს დაეჯახა. საბედნიეროდ ამ შეჯახების შედეგად არავინ დაშავებულა.

ავტომობილის წინა სავარძელი გავსებული იყო სუპერმარკეტის პაკეტებით, რომლებიც სავსე იყო ნარჩენებით, გაზეთიდან ამონაჭრებით. მანქანის სატერფულებთან კი ეყარა ლატარიის ბილეთები, ძველი ქაღალდები და ქსელების გადამყვანი ჩამრთველი. ასევე სალონში ეწყო ბაღის ყვავილები, სათლები, დიდი პლასტმასის კონტეინერები და ბარბეკიუს მოწყობილობა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**შევისყიდით წიგნებს!**

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ბასილაშვილმა უიმბლდონი მოგებით დაიწყო



უიმბლდონის ღია პირველობაზე, რომლის საპრიზო ფონდი 23.500.000 ევროა, მე-18 ნომრად განთესილი ნიკოლოზ ბასილაშვილი ბრიტანელ ჯეიმს ვორდს შეხვდა. მეტოქე ძლიერი არ იყო – რეიტინგში მხოლოდ 195-ე ადგილი უჭირავს. თუმცა, შეხვედრა დრამატული გამოდგა.

ქართველმა საწყისი 2 სეტი წააგო, მაგრამ შემდეგ მიჯრით 3 მოიგო და მეორე წრეში გავიდა – 2:6, 4:6, 6:4, 6:4, 8:6. ამ გამარჯვებით, ბასილაშვილმა 4-მატჩიანი წაგებათა სერია დაასრულა და სეზონში პირველად მოიგო ბალახის კორტებზე.

ვორდთან მატჩი უიმბლდონის მე-17 კორტზე გაიმართა და სამსაათნახევარი გაგრძელდა. პირველ სეტში ქართველმა ჩოგბურთელმა საკუთარი პირველივე მოწოდება წააგო, რასაც ბოლოს კიდევ ერთი მიაყოლა და 2:6 დამარცხდა.

მე-2 სეტში თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, თუმცა ბოლო, გადამწყვეტ გეიმში ნიკამ ისევ დათმო მოწოდება და 4:6 დამარცხდა.

ცუდად დაიწყო ბასილაშვილმა მე-3 სეტიც... კვლავ წააგო მოწოდება და თითქოს მატჩის ბედიც გადაწყდა, მაგრამ იქვე დაიბრუნა შანსი, ხოლო 5:4-ზე კიდევ ერთხელ აართვა მეტოქეს ქულა და სეტებში სხვაობა შეამცირა.

ნიკამ მეოთხე სეტის პირველივე გეიმი მეტოქის მოწოდებაზე მოიგო და ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა – 6:4.

გადამწყვეტი, მე-5 სეტის დასაწყისი საჩვენო იყო – ნიკამ ვორდის მოწოდება მოიგო, მაგრამ გულშემატკივრების ანერვიულება მაინც მოახერხა, როდესაც 5:4-ზე მატჩზე აწვდიდა, თუმცა, გეიმი ბრიტანელს დაუთმო. 6:6-ზე ნიკამ კიდევ ერთი ბრეიქი განახორციელა და ისევ დაწინაურდა. ამჯერად, შეძლო საქმის ბოლომდე მიყვანა და 8:6 იმარჯვა.

ბასილაშვილის მომდევნო მეტოქე მე-2 წრეში ბრიტანელი დანიელ ევანსი იქნება, რომელმაც 3 სეტში იოლად დაამარცხა არგენტინელი ფედერიკო დელბონისი – 6:3, 7:6, 6:3.

# რუნის მწვრთნელობა სურს



მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილმა ფეხბურთელმა, ლეგენდარულმა უეინ რუნიმ სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ სამწვრთნელო საქმიანობა დააანონსა. ფეხბურთელის თქმით, მას მენეჯერის პოზიციაზე კლუბები აქედანვე ეპატიჟებიან.

ბრიტანულ მედიაში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვას, აპირებდა თუ არა სამწვრთნელო საქმიანობისთვის ნაბიჯების გადადგმას სამომავლოდ, რუნიმ ასე უპასუხა:

– რა თქმა უნდა! ვაპირებ სერიოზული ნაბიჯების გადადგმას იმისათვის, რომ სამწვრთნელო ლიცენზია მოვიპოვო, როდესაც საფეხბურთო კარიერას დავასრულებ, შევაფასებ ჩემს შესაძლებლობებს სამწვრთნელო სფეროში. უკვე მქონდა შემოთავაზებები, თუმცა ამ მომენტისთვის ფეხბურთელი ვარ, მსურს გავაგრძელო თამაში. როდესაც საბოლოოდ გადავწყვეტ დავანებო თამაშს თავი, შევხედავ, მექნება თუ არა სწორი შეთავაზებები. შემიძლია სამწვრთნელო საქმიანობით აქედანვე დავკავდე, თუმცა ამის გაკეთება მაშინ მსურს, როდესაც ბუცებს კედელზე ჩამოვკიდებ. სამომავლოდ, უპირველეს ყოვლისა, შევხედავ კლუბის ამბიციებს, შემდეგ ამ ამბიციებს ჩემს ამბიციებთან შევადარებ და გადაწყვეტილებას ისე მივიღებ.

# შედეგები

**2 ივლისი**

**ფეხბურთი**

**კოპა ამერიკა**

ბრაზილია-არგენტინა .................... 2:0

**კონკაკაფი**

ჰაიტი-მექსიკა .......................... 0:1(დდ)

**აფრიკის ერთა თასი**

ბენინი-კამერუნი ............................ 0:0

გვინეა ბისაუ-განა ........................... 0:2

ანგოლა-მალი ................................ 0:1

მავრიტანია-ტუნისი ......................... 0:0

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**ქალები**

ინგლისი-აშშ.................................... 1:2

**ჩოგბურთი**

**უიმბლდონის ღია პირველობა**

**კაცები**

ფედერერი-ჰარისი3:6,6:1, 6:2, 6:2
ნადალი-სუგიტა 6:3, 6:1, 6:3
კუერი-ტიმი 6:7, 7:6, 6:3, 6:0
ნიშიკორი-მონტეირო 6:4, 7:6, 6:4
ისნერი-რუუდი 6:3, 6:4, 7:6
ფონინი-ტიაფო 5:7, 6:4, 6:3, 4:6, 6:4
ჩილიჩი-მანარინო7:6, 7:6, 6:3
ბერეტინი-ბედენე3:6, 6:3, 6:2, 7:6
ბასილაშვილი-უორდი2:6, 4:6, 6:4, 6:4, 8:6
სიმონი-კარუზო 7:6, 6:3, 6:2
შვარცმანი-ებდენი6:4,3:6, 6:3, 6:2
დე მინორი-ჩეკინატო 6:0, 6:4, 7:6
პუიე-გასკე 6:1, 6:4, 7:6
ბერანკისი-შაპოვალოვი 7:6, 6:4, 6:3
ჯერე-ანდრეოცი 3:6, 7:6, 7:6, 6:3
შტრუფი-ალბოტი6:4, 6:3, 6:2
რუბლიოვი-გარინი4:6,6:4, 7:5, 6:4
მილმენი-დელიენი6:2, 6:3, 6:4
სანდგრენი-უჩიამა3:6,6:2, 6:4, 6:3
ფუჩოვიჩი -ნოვაკი3:6,6:4, 7:6, 6:2
სოუზა-ჯაბი 6:0, 6:3, 6:7, 6:1
ევანსი-დელბონისი6:3,7:6, 6:3
ცონგა-ტომიჩი 6:2,6:1,6:4
კირგიოსი-ტომპსონი 7:6, 3:6,7:6, 0:6,6:1
ნორი-ისტომინი 6:2, 6:4, 6:4
ჯონსონი-რამოსი 6:4, 6:2, 6:3
ფრიტცი -ბერდიხი6:4,6:4, 6:3
კუკუშკინი-ანდუხარი 6:3, 6:2, 6:4
ბაღდატისი-შნური6:2,6:4, 6:4
კიოპფერი-კრაინოვიჩი6:3,4:6,7:6(9), 6:1
ბარერი-ბუბლიკი 3:6, 6:4, 6:3, 6:3
კლარკი-რუბინი 4:6, 7:5, 6:4, 6:4

**ქალები**

პეტკოვიჩი-ნიკულესკუ6:2,2:6, 5:7
სტრიცოვა-ცურენკო 6:3, 6:2
ლაპკო-ვანი 2:6, 2:6
ალექსანდროვა-სინიაკოვა 6:2,1:6, 1:6
კუზნეცოვა-ვანუიტვანკი 4:6,6:4, 2:6
სტივენსი-ბაჩინსკი6:2,6:4
ფეგელი-კანეპი 7:5, 5:7, 4:6
დარტი-მაკჰეილი 4:6, 6:4, 6:4
მერტენსი-ფერო 6:2, 6:0
კოზლოვა-დეივისი3:6,2:6
ლინეტი-კალინსკაია 6:0, 7:6
მარია-კერბერი 4:6, 3:6
ბარტი-ჩჟენი 6:4, 6:2
დიაჩენკო-მლადენოვიჩი 5:7,7:6,2:6
ზიგემუნდი-სვონი6:2, 6:4
პავლუჩენკოვა-ბენჩიჩი2:6, 3:6
ჟიდანჩეკი-ბუშარი6:3,5:7, 8:6
ბოგდანი-კონტა 5:7, 2:6
ანისიმოვა-კირსტეა 6:3,6:3
ჰადადი-მუგურუზა6:4,6:4
კერკჰოვე-იოროვიჩი 6:7, 4:6
სუარეს ნავარო-სტოსური 6:2, 7:5
რუსე-გერგესი 5:7,1:6
ჟაბერი-კვიტოვა 4:6, 2:6
ს.უილიამსი-მონტიკონე6:2,7:5
იუვანი-პლიშკოვა6:4, 2:6, 6:4
როდიონოვა-თაუსენდი2:6,3:6
ბერტენსი-მინელა6:3, 6:2
ვეკიჩი-რისკე 6:3, 3:6, 5:7

# საბურთალომ წაიფორხილა, ლოკომოტივს ვერ აჩერებენ



**საბურთალო-რუსთავი 2:2**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

0:1, 0:2 ქოჩლაძე (17, 39), 1:2, 2:2 დიასამიძე (45, 74)

**საბურთალო:** მიგინეიშვილი, მალი, მარგველაშვილი (გრიგალაშვილი 66), ჩაბრაძე, ცნობილაძე (კოხრეიძე 56), რეხვიაშვილი, გონსალვესი, შინდაგორიძე (როლოვიჩი 60), გაბედავა, დიასამიძე, ალთუნაშვილი

**რუსთავი:** მამარდაშვილი, ც.კაპანაძე (ბ.ქავთარაძე 14), ლ.გადრანი, ფონიავა, სილაგაძე, გუჯაბიძე (ტაკულოვი 48), ჩოგაძე (კიტეიშვილი 79), ქოჩლაძე, ბუგულოვი, ციცქიშვილი, იმნაძე

ეროვნულ ლიგაში ზედიზედ მესამე თამაში ვერ მოიგო საბურთალომ. ამჯერად გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმა აუტსაიდერ რუსთავთან დაკარგა ქულები.

ყველასთვის მოულოდნელად რუსთაველებმა უპირატესობა პირველივე წუთებიდანვე მოიპოვეს. მე-17 წუთზე ლაშა ქოჩლაძემ თავისი გუნდი დააწინაურა. 39-ე წუთზე კი დუბლი გაიფორმა და სტუმრები უკვე 2-ბურთიანი უპირატესობით იგებდნენ.

საბურთალომ ტაიმის დასრულებამდე ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხა – მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გოლი გეგა დიასამიძემ გაიტანა.

შეხვედრის მე-2 ტაიმში მასპინძლები გააქტიურდნენ, თუმცა წონასწორობის აღდგენა მხოლოდ 74-ე წუთზე შეძლეს – თავი ისევ დიასამიძემ გამოიჩინა. დარჩენილ დროში ჩემპიონებს რამდენიმე შანსი ჰქონდათ 3 ქულის მოსაპოვებლად, მაგრამ რეალური საგოლე მომენტების გამოყენება ვერ შეძლეს.

**ტორპედო-ლოკომოტივი 0:2**

**წყალტუბო. 26 მაისი**

0:1 გვალია (71), 0:2 სიხარულიძე (86)

**ტორპედო:** ქვილითაია, ტაბატაძე, ნებიერიძე, ჭიჭინაძე, ხურცილავა, ცინცაძე, მოსიაშვილი, შარვაშიძე (ფირანაშვილი 77), თ.კაპანაძე, იონანიძე (მუკბანიანი 71), ზივზივაძე (აბულაძე 77)

**ლოკომოტივი:** ბულისკერია, უბილავა, კომახიძე, გურეშიძე, ნ.ჭანტურია, ძებნიაური, შონია, გვალია (ანდრონიკაშვილი 89), გოროზია (ჯაფარიძე 79), ჯიქია (შეყილაძე 45), სიხარულიძე

გადახალისებული შემადგენლობით მოთამაშე ქუთაისელები დედაქალაქელებთან 2-ბურთიანი სხვაობით დამარცხდნენ.

მიუხედავად რიონისპირელთა უპირატესობისა, მატჩის პირველი ნახევარი უგოლოდ დასრულდა. შესვენების შემდეგ კი ტორპედო გატყდა. 71-ე წუთზე ლაშა გვალიამ ლოკომოტივი დააწინაურა, ხოლო 86-ე წუთზე ირაკლი სიხარულიძემ უპირატესობა გაზარდა.

ამრიგად ლოკომოტივმა მიმდინარე სეზონში წაუგებლად ზედიზედ მე-9 შეხვედრა ჩაატარა და სატურნირო მდგომარეობა გამოიკეთა.

**ვიტ ჯორჯია-ჩიხურა 0:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

**ვიტ ჯორჯია:** ისერგიშვილი, ლაცაბიძე, ნემსაძე, ჩიტიშვილი (აშორდია 55), ნაჭყებია, ქისიევი, სეხნიაშვილი, ზარიძე (გვასალია 89), ვასაძე, მუსელიანი, მუზაშვილი (გუგბერიძე 46)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მაისაშვილი, კორიფაძე, მეგრელიშვილი, მამასახლისი, მარკოზაშვილი (ერგემლიძე 69), სარდალიშვილი, ჩიხლაძე (კამლაძე 89), ფანცულაია, დეკანოიძე (ლექვთაძე 70)

უგოლოდ დასრულდა ვიტ ჯორჯიასა და საჩხერის ჩიხურას დაპირისპირება. მიუხედავად იმისა, რომ სოსო ფრუიძის გუნდს ძალიან ბევრი სახიფათო მომენტი შეექმნა, ვერც ერთი მათგანის რეალიზება ვერ მოახერხა.

ვეტერინარებმა სასურველი ქულა მოიპოვეს, ხოლო ჩიხურამ 2 დაკარგა და ლიდერთა შორის მოსახვედრად შანსი გაიუარესა.

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 21 | 12 | 4 | 5 | 38-26 | 40 |
| 2.დინამო (ბთ) | 20 | 12 | 3 | 5 | 33-20 | 39 |
| 3.დინამო (თბ) | 20 | 12 | 2 | 6 | 37-22 | 38 |
| 4.ტორპედო | 21 | 10 | 4 | 7 | 42-33 | 34 |
| 5.ლოკომოტივი | 21 | 10 | 2 | 9 | 27-23 | 32 |
| 6.ჩიხურა | 21 | 6 | 9 | 6 | 28-22 | 27 |
| 7.დილა | 20 | 6 | 4 | 10 | 22-26 | 22 |
| 8.სიონი | 20 | 6 | 4 | 10 | 23-50 | 22 |
| 9.რუსთავი | 21 | 4 | 7 | 10 | 24-36 | 19 |
| 10.ვიტ ჯორჯია | 21 | 4 | 3 | 14 | 11-27 | 15 |

# ბავარიული ტრანსფერები



ის რაც აქამდე მხოლოდ სიტყვიერად იყო ცნობილი, ქაღალდზე გადავიდა... ლუკას ერნანდესი მიუნხენის ბაიერნის სრულფასოვანი წევრი გახდა. შეგახსენებთ, ფრანგმა მსოფლიოს ჩემპიონმა ჯერ კიდევ მარტის თვეში მოაწერა კონტრაქტს ხელი, რომლის თანახმადაც იგი ბავარიულ გრანდში 2024 წლამდე იასპარეზებს.

23 წლის უკანახაზელი უკვე რამდენიმე თვეა, რაც მიუნხენში იმყოფება. აქ იგი ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციის კურსს გადიოდა, რომელსაც უშუალოდ ბავარიელი ექიმები ხელმძღვანელობდნენ.

**ლუკას ერნანდესი:**

– ვამაყობ იმით, რომ ამ კლუბის წარმომადგენელი ვიქნები და მისი სახელით ვიასპარეზებ ყველა ტურნირზე. მოცემულ მომენტში ყოველდღიური ვარჯიშით ვარ დაკავებული, ვიმედოვნებ ახალ სეზონს 100%-იანი მზადყოფნით შევხვდები. წინ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევ და ყოველდღე უკეთესი ვხდები.

ერნანდესი, რომელიც ბავარიული კლუბის 21-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს, უახლოეს მომავალში სავარჯიშო დატვირთვების გაზრდას გეგმავს, რათა მომავალი საფეხბურთო სეზონისათვის მზადებას თანაგუნდელებთან ერთად შეუდგეს.

ბაიერნის ახალი წევრია კიდევ ერთი მსოფლიოს ჩემპიონი ბენჯამინ პავარიც. ფრანგი მცველი 2016 წლის ზაფხულში საფეხბურთო კლუბ შტუტგარტის რიგებში ჩაირიცხა. მანამდე კი ლილის ღირსებას იცავდა. ახალ გუნდთან ერთად მალევე მოახერხა ბუნდესლიგაში დაბრუნება. გერმანიის უმაღლეს დივიზიონში ფრანგმა უკანახაზელმა სულ 61 ორთაბრძოლა გამართა და ერთი გატანილი გოლითაც გამოირჩა. ამჯერად კი მან მორიგი ნაბიჯი გადადგა საკუთარ ცხოვრებაში და გერმანიის მოქმედ ჩემპიონს შეუერთდა.

პავარი, რომელიც ბაიერნში 5-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს, ვარჯიშს მიმდინარე თვის შუა რიცხვებიდან შეუერთდება. ივნისის შუა რიცხვებამდე ფრანგი ფეხბურთელი ნაკრების რიგებში იყო მივლინებული და ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებშიც იღებდა მონაწილეობას, რის გამოც მან შვებულების გახანგრძლივება დაიმსახურა.

ბავარიელებს კიდევ ერთი ჩემპიონის, უსმან დემბელეს გადაბირებაც სურდათ და ბარსელონას ტრანსფერთან დაკავშირებით წინადადებით მიმართა. ბაიერნი მზად იყო 22 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 70 მილიონი ევრო გაეღო. ეს თანხა კი არასაკმარისი აღმოჩნდა ბარსელონას ბოსებისათვის, რის შედეგადაც მათ გერმანული კლუბის შეთავაზება დაბლოკეს. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ბარსელონა მზად არის დათმოს აღნიშნული მოთამაშე თუ სატრანსფერო თანხა 95 მილიონი ევრო იქნება.

დემბელე კატალონიურ გრანდს 2017 წლის ზაფხულში შეუერთდა. მანამდე იგი დორტმუნდის ბორუსიას შემადგენლობაში ასპარეზობდა. ბარსელონას ფეხბურთელის აყვანა 125 მილიონი ევრო დაუჯდა. 2018-19 წლის განვლილ სეზონში დემბელემ ესპანეთის ჩემპიონატის 29 მატჩში მიიღო მონაწილეობა. გახდა 8 გატანილი გოლის და 5 საგოლე პასის ავტორი.

თუმცა, გერმანული მედია იმასაც წერს, რომ ბაიერნი ელოდება ბარსელონაში ანტუან გრიზმანისა და ნეიმარის ტრანსფერის განხორციელებას, რაც დიდ ზეგავლენას იქონიებს დემბელეს სატრანსფერო ფასზე.

მიუნხენელს დანაკლისიც აქვთ – ცენტრალური მცველი მატს ჰუმელსი კარიერას ბორუსიას რიგებში განაგრძობს. „შავ-ყვითელთა" პრესსამსახურმა დაადასტურა ცნობა იმის შესახებ, რომ 30 წლის უკანახაზელთან მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა. სახელდება კონკრეტული სატრანსფერო თანხაც – 20 მილიონი ევრო.

ჰუმელსი ბაიერნის აღზრდილია და ძირითად გუნდში თამაში 2007 წელს დაიწყო. თუმცა, მალევე ბორუსიაში გადაბარგდა, სადაც 2016 წლამდე დაჰყო და ისევ ბაიერნს დაუბრუნდა. შემდეგი გაჩერება ისევ დორტმუნდია...

# ტონი კროოსზე ფილმი გადაიღეს



მადრიდის რეალის გერმანელი ნახევარმცველი, ტონი კროოსი ბერლინში იმყოფება და აპირებს თავისი ცხოვრების შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმის პრემიერას დაესწროს.

დოკუმენტური ფილმი კროოსის საფეხბურთო აღმასვლის შესახებაა გადაღებული. ნამუშევარში მოთხრობილია ფეხბურთელის ისტორია როსტოკის ჰანზადან მადრიდის რეალამდე.

ფილმში იუპ ჰაინკესი, ზინედინ ზიდანი და პეპ გუარდიოლა იმ მიზეზების შესახებ საუბრობენ, რომელთა დამსახურებითაც კროოსი წარმატებული ფეხბურთელი გახდა.

29 წლის ფეხბურთელი ამ ფილმის შესახებ ესპანურ მედიას ესაუბრა და ინტერვიუს მიმდინარეობისას იმ კრიტიკასაც შეეხო, რომელსაც ესპანეთში მოასპარეზე ფეხბურთელები იღებენ.

ტონი კროოსი:

– ზოგჯერ ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს ფეხბურთზე ზედმეტად ბევრი რამაა დამოკიდებული. ამ მხრივ ესპანეთში ყველაფერი გაცილებით რთულადაა. ერთ დღეს შესაძლოა, უდიდესი გმირი იყო, რამდენიმე დღის შემდეგ კი უდიდეს იდიოტად გამოგაცხადონ. მიუხედავად ამისა ყველაფერს რეალური გადმოსახედიდან ვუყურებ. გადაჭარბებულ კრიტიკას ყურადღებას არ ვაქცევ, რადგან ამ ყველაფერთან უკვე შეგუებული ვარ.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ბრაზილია ფინალშია, მესი ისევ უტიტულოდ დარჩა



**ბრაზილია-არგენტინა 2:0**

ბელუ-ორიზონტი. მინეირაო

1:0 ჟეზუსი (19), 2:0 ფირმინო (71)

**ბრაზილია:** ალისონი, დანი ალვესი, ტიაგო სილვა, ალექს სანდრო, მარკინიოსი (მირანდა 64), კოუტინიო, კაზემირო, არტური, ფირმინო, ევერტონი (ვილიანი 46), გაბრიელ ჟეზუსი (ალანი 80)

**არგენტინა:** არმანი, ოტამენდი, ტალიაფიკო (დიბალა 85), პაცელა, ფიოტი, პარედესი, და პაული (ლო ჩელსო 67), მესი, აგუერო, აკუნა (დი მარია 59), მარტინესი

კოპა ამერიკაზე ნახევარფინალები დაიწყო. ფინალში გასასვლელად პირველები ერთმანეთს ბრაზილია და არგენტინა ეკვეთნენ. ბევრმა ეს მატჩი ფარულ ფინალად მონათლა, რადგან ფიქრობდნენ, რომ ამ წყვილის გამარჯვებული საბოლოოდ ტიტულსაც შემართავს.

ფინალები კი, თუნდაც ფარული, თვალსასეირო ხშირად არ გამოდის. ბრაზილიის ნაკრები კი, ტიტეს თავკაცობით, სულაც პრაგმატულ ფეხბურთს თამაშობს, არაბრაზილიურს. ამჯერადაც ასე მოხდა. ტიტეს ტაქტიკამ ბრაზილიას გამარჯვება მოუტანა და კიდევ ერთი ნაბიჯით მიაახლოვა დანატრებულ ჯილდოს.

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებს დიდად წაეხმარა სწრაფი გოლი, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დანი ალვეშმა შექმნა. ბრაზილიელთა კაპიტანმა ელეგანტურად, იოლად, მახვილგონივრულად ითამაშა მოედნის ცენტრში, ბურთი საჯარიმოში ფირმინიოს შეაყოლა, რომელმაც კარის წინ მარტოდ მდგომი გაბრიელ ჟესუსი მოძებნა – 1:0. ყველაფერი იდეალურად იყო გაკეთებული და ლამაზი სანახავი გამოდგა.

ამის შემდეგ ბრაზილია დამშვიდდა, საჭირო პოზიცია მიიღო და ელოდა, რას მოიფიქრებდა მეტოქე. პირველ ტაიმში არგენტინამ ხარიხა „მოიფიქრა“, ხოლო მე-2 ტაიმში – ძელი. არგენტინას მეტი ფანტაზია არ ჰქონია...

სამაგიეროდ, კონტრშეტევაზე მაგრად გაიქცნენ ჟესუსი და ფირმინიო, რომლებმაც როლები გაცვალეს და ახლა ლივერპულელმა გაიტანა და მატჩის საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

მესი ისევ უტიტულოდ დარჩა, ხოლო ბრაზილია ფინალში ჩილესა და პერუს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# მამამ ჩვილი ბავშვი აუზში დახრჩობას გადაარჩინა



ამერიკის ფლორიდის შტატში მამაკაცმა შთამბეჭდავი ნახტომი შეასრულა, რათა აუზში ჩავარდნილი ჩვილი გადაერჩინა.

ალბერტ პასავანტი ჩრდილში იჯდა, სანამ მისი წლინახევრის ბიჭი როკო ეზოში თამაშობდა. ბავშვმა იმით ისარგებლა, რომ აუზის ღობის შესასვლელი დაკეტილი არ იყო, შიგნით შეძვრა, ბურთისკენ გაიწია, მაგრამ თავი ველარ შეიმაგრა და წყალში ჩავარდა.

ამის დანახვაზე მამაკაცი აუზისკენ გაქანდა, ერთი ნახტომით გადაევლო 120 სანტიმეტრის სიმაღლის ღობეს, აუზში ჩახტა და ბავშვი წყლიდან ამოიყვანა.

– თავში აზრადაც კი არ მომსვლია ღობისთვის შემოვლა დამეწყო, – ამტკიცებს პასავანტი. მისი თქმით, ასეთ კრიტიკულ მომენტებში ადამიანს სუპერმენის ძალა ეძლევა.

ამ შემთხვევის შედეგად, როკო არ დაშავებულა. ეს ფაქტი ეზოში დამონტაჟებულმა სათვალთვალო კამერამ გადაიღო.

# ქალმა ლიფტში 27 საათი ღვინის წყალობით გაძლო



იტალიის ქალაქ პადუას მკვიდრმა ქალბატონმა გაჭედილ ლიფტში 27 საათი ღვინის წყალობით გაძლო.

აღნიშნული ინციდენტი 28 ივნისს მოხდა. ადგილობრივი დროით დაახლოებით 9:30 საათზე ქალმა ლიფტი გამოიძახა, რათა სადარბაზოს კართან დამლაგებელს დახვედროდა და ღვინის ყუთი მარანში ჩაეტანა. როდესაც ლიფტი გაჩერდა, გაირკვა, რომ კაბინაში დახმარების გამოსაძახებელი ავარიული ღილაკი არ იყო. ამავე დროს ქალს თან არ ჰქონდა არანაირი ისეთი მოწყობილობა, რომლითაც ვინმესთან დაკავშირებას შეძლებდა. დამლაგებელს კი მისი ძახილი არ გაუგონია, ვინაიდან, სავარაუდოდ, ის თავის სამუშაოს ყურსაცმებით ასრულებდა.

იმ დღეს ქუჩაში ჰაერის ტემპერატურა 30 გრადუსს აღწევდა, თუმცა დახურული ლიფტის კაბინაში ჰაერი 50 გრადუსამდე იყო გახურებული. ქალის თქმით, მან ერთ-ერთ ღვინის ბოთლს ყელი მოამტვრია და ღვინოს პატარ-პატარა ყლუპებით სვამდა, გაუწყლოვანება, რომ არ დამართოდა.

ლიფტში გაჭედიდან ერთი დღე-ღამის შემდეგ ქალი მისმა ქალიშვილმა აღმოაჩინა, რომელიც ღელავდა იმის გამო, რომ დედამისი სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა. მან ლიფტის კაბინიდან გამომავალი მისი ყვირილის ხმა გაიგონა და მეხანძრეები გამოიძახა. სწორედ მათ გაათავისუფლეს ქალი ლიფტის ტყვეობიდან. აღსანიშნავია, რომ მას სამედიცინო დახმარება არ დასჭირვებია.

# კომაში მყოფმა ქალმა ჯანმრთელი ბავშვი გააჩინა

მალაიზიის ქალაქ პეტალინგ-ჯაიაში კომაში მყოფმა ქალმა ბავშვი გააჩინა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

36 წლის კამარია არვე თავბრუსხვევას და მხედველობის გაუარესებას უჩიოდა. მას თავის ტვინის სიმსივნე დაუდგინეს და ოპერაცია გაუკეთეს. ამის მიუხედავად, ის კომაში ჩავარდა. იმ დროისთვის კი ის უკვე ფეხმძიმედ იმყოფებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალი უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა, მისი ნაყოფი განვითარებას აგრძელებდა. ფეხმძიმობის 33-ე კვირას ქალს საკეისრო კვეთა გაუკეთდა და სრულიად ჯანმრთელი გოგონა დაიბადა, რომელსაც ფარა ჰანის ფაიროლ ჰაზირი დაარქვეს.

ბავშვის მამა იძულებულია მთელი თავისი ყურადღება ავადმყოფი ცოლისა და ახალშობილის მოვლას დაუთმოს.

– ვოცნებობ იმაზე, რომ ჩემი მეუღლე ისევ გონებაზე ვნახო, – ამბობს მამაკაცი, – მადლობელი ვარ იმისთვის, რომ სრულიად ჯანმრთელი გოგონა შეგვეძინა.

# ძაღლი პატრონთან ცხრა წლის შემდეგ დაბრუნდა



დიდ ბრიტანეთში ლაბრადორ-რეტრივერი, სახელად ბასტერი, თავის პატრონ რობი სმიტს დაკარგვიდან ცხრა წლის შემდეგ დაუბრუნდა.

ინციდენტი 2010 წელს უელსის ქალაქ ლანელიში მოხდა. სმიტის თქმით, ბასტერი მაშინ ლეკვი იყო და ეზოში დარბოდა, რა დროსაც უკვალოდ გაუჩინარდა.

– დარწმუნებული ვარ, რომ მოიპარეს, – ამტკიცებს 39 წლის მამაკაცი, – ჩვენ მას რამდენიმე კვირის განმავლობაში ვეძებდით.

თუმცა ლეკვის ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო. ბასტერის დაკარგვის შემდეგ სმიტმა სახლში კიდევ ერთი შავი ფერის ლაბრადორ-რეტრივერი მოიყვანა და სახელად ბრუნო დაარქვა.

29 ივნისს, დილით სმიტს ვეტერინარული საავადმყოფოდან დაურეკეს, რომელიც მისი სახლიდან 16 კილომეტრში მდებარეობს. გაირკვა, რომ ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა ბასტერი ქუჩაში ნახა და ის ვეტერინარულ საავადმყოფოში მიიყვანა. ექიმებმა ლაბრადორი გასინჯეს და მასში ჩანერგილი ჩიპის დახმარებით მისი მფლობელი დაადგინეს.

– ცხრა წლის შემდეგ ჩემი საუკეთესო მეგობარი დამიბრუნდა, – განაცხადა სმიტმა და იქვე დაამატა, რომ ბრუნო და ბასტერი სწრაფად დამეგობრდნენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# აფხაზეთის ტრაგედიის ექო



აფხაზეთის ტრაგედიამ დიდი უბედურება მოუტანა იქ მცხოვრებ ქართველ ხალხს. განადგურდა მათი სახლ-კარი და ლტოლვილებად იქცნენ პოსტსაბჭოთა სივრცის სხვადასხვა ქალაქებში.

მოძალადეთა მსახვრალი ხელი შეეხო ასევე ადგილზე ისტორიულ ძეგლებს, კულტურის ცენტრებს, ღირსშესანიშნაობებსა და ფასეულობებს, რომლებიც რაიონის ეთნოგრაფიულ მუზეუმებში იყო დაცული.

ქალაქ გალში, ყოფილ ლენინის ქუჩაზე მცხოვრები ჯონჯუების (ცნობილი გვარია გალში) 200-წლოვანი ჭაც გაანადგურეს მოძალადეებმა, რომელი ჭითაც სარგებლობდა თავის დროზე ქუჩის მთელ პერიმეტრზე მოსახლეობა. იყო ასეთი გამოთქმა, წყალს სტუმარს რომ მიართმევდნენ: „ჯონჯუების ჭიდან არისო“.

ჯონჯუების შთამომავალმა, სანკტ-პეტერბურგში მცხოვრებმა დინა ჯონჯუამ დიდი თანხის გაღებითა და ნათესავების დახმარებით ისტორიული ჭა აღადგინა, რითაც ახალი სიცოცხლე შეიძინა ნასახლარმა.

თვითმხილველი **რაჟდენ ქარდავა**

# ასტროპროგნოზი

## 4 ივლისისთვის



**ვერძი** – დღის პირველ ნახევარში ერიდეთ კოლექტიურ მუშაობას. საღამოს გაგიმართლებთ ოჯახურ ურთიერთობებში. **კურო** – გარისკვა რეკომენდებული არ არის. ცდუნებას ნუ აჰყვებით. მეგობრებთან ურთიერთობისას ემოციები მოთოკეთ. **ტყუპები** – სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებთ. დღეს მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელშიც კარგად ერკვევით. **კირჩხიბი** – ნუ იზარმაცებთ. ხანდახან შეგიძლიათ, თავს დასვენების უფლება მისცეთ, მაგრამ დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ახალ ნაცნობობას ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – ამბიციურობა, აგრესიულობა სიკეთეს არ მოგიტანთ. კარიერას გაუფრთხილდით. **სასწორი** – ენერგია საგრძნობლად გემატებათ. ახლა მთავარია, დრო სწორად გაანაწილოთ. **ღრიანკალი** – მაცდური დღეა. იფრთხილეთ, პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **მშვილდოსანი** – ნუ იაქტიურებთ, განსაკუთრებით – კომერციულ სფეროში, ნურც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისათვის. გელით კარიერული წინსვლა. **მერწყული** – ახალი საქმე თამამად დაგეგმეთ. გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღეთ. **თევზები** – შესანიშნავი პერიოდია პროფესიონალიზმის ასამაღლებლად. ჩაიტარეთ წყლის პროცედურები.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 2. სევანის ტბის კალმახი; 3. უნებლიე შეცდომა; 4. ბატის ძველი ქართული სახელწოდება; 5. გემის გამაწონასწორებელი ტვირთი; 7. სპირალურად დახვეული ლითონის დრეკადი ღერო; 11. ქალაქი ნიდერლანდებში, სადაც განთავსებულია დედოფლის რეზიდენცია და სამთავრობო დაწესებულებები; 12. არწივის ბარტყი; 13. გამოჩენილ ადამიანთა საპატიო ტიტული ინდოეთში; 14. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 15. თამაში-გამოცანა; 17. არგენტინის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 19. მინერალური წყლების ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 5. პიესების „სეველიელი დალაქისა“ და „ფიგაროს ქორწინების“ ავტორი; 6. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 8. ტერიტორიული ერთეული საბერძნეთში; 9. საგასტროლო მოგზაურობა გარკვეული მარშრუტით; 10. კურორტი ხაშურის რაიონში; 11. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 13. საკომუნიკაციო საშუალების – გაზეთის, ტელევიზიის, რადიოს საერთო სახელწოდება; 14. ჩეხეთის დედაქალაქი; 16. წინაპართა დამკვიდრებული წეს-ჩვეულებები, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა; 18. ყველაზე გრძელი მდინარე საფრანგეთში; 20. ძირმაგარა ანუ...; 21. ექსპონატის, ნივთის მეორე ცალი მუზეუმში, კოლექციაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. როკაპი; 2. გაზელი; 3. დიორი; 5. ბობი; 6. ჩაროზი; 8. ჰიტროუ; 11. პეტრიწონი; 13. დიაფანი; 14. რენუარი; 15. ჩარხილი, 19. გემა;

**თარაზულად**: 1. რეტროგრადი; 4. დამბაჩა; 7. კაპრიზი; 9. რავიოლი; 10. ოპელი; 12. აერობუსი; 16. ფუფუნება; 17. კარიესი; 18. ცუგცვანგი; 20. ნექტარი; 21. გირი; 22. მირზაანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. მიოპია; 2. მესიჯი; 3. თაკვერი; 4. სისტოლა; 5. ჰოოპუნა; 7. პანკისი; 11. არიკი; 12. ფაუსტი; 13. ველვეტი; 14. მეტრიკა; 15. მესეფი; 17. ალუპკა; 19. ბახი.

**თარაზულად**: 5. ჰაჯიბეი; 6. ბაზალტი; 8. ჯანი; 9. კენზო; 10. ურნალი; 11. აული; 13. ვირჯინია; 14. მღილი; 16. ვალსი; 18. ბუვიე; 20. კოლხეთი; 21. ფხაკაძე.

# ნინო ნინიძე ქმარს დაშორდა



მსახიობ ია ნინიძის შვილი ნინო ნინიძე ქმარს, რეჟისორ კირილ პლეტნევს დაშორდა. წყვილმა საჯაროდ მიმართა ცნობისმოყვარეებს, არ დაესვათ კითხვები მათი თანაცხოვრების დასრულების შესახებ, თუმცა ნინო ერთ-ერთ ინტერვიუში თავად მაინც შეეხო ამ თემას და განაცხადა, რომ დაშორების ინიციატორი თვითონ იყო:

– მივხვდი, რომ ჩემი ილუზიები და მოლოდინები მხოლოდ ჩემია. სინამდვილეში ყველაფერი სულ სხვაგვარადაა.

არანაკლებ მტკივნეული აღმოჩნდა განშორება კირილ პლეტნევისთვისაც. რეჟისორმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ნინოსთან გაშორების შემდეგ მის ცხოვრებაში კრიზისული ეტაპი დაიწყო.

ნინო და კირილი დაახლოებით 4 წელი იყვნენ ცოლ-ქმარი. მათ ერთი ბიჭი ალექსანდრე ჰყავთ. კირილისთვის ის მესამე შვილია. რეჟისორს პირველი ქორწინებიდან ლიდია მილუზინასთან ორი ბიჭი გიორგი და ფიოდორი ჰყავს.

# ქეთევან კიკნაძე: „რუსეთი რომ ოკუპანტია, ამაზე უკვე ლაპარაკიც კი ზედმეტია“



ამ განცხადებას მსახიობი ქეთევან კიკნაძე აკეთებს:

– რუსეთი რომ ოკუპანტია, ამაზე უკვე ლაპარაკიც კი ზედმეტია, მაგრამ ის რუსი, რომელიც ჩაჯდა სპიკერის სავარძელში, იმას კი არ გავაგდებდი, ისეთ კითხვებს დავუსვამდი, უკაცრავად და ვირზე შევსვამდი, იქით გავაქცევდი.

აი, ეს არის პოლიტიკა, აქციასაც გავამართლებდი მაშინ, ახალგაზრდობის გამოსვლას, საქმე იმაშია, რომ ეს კარგად დაგეგმილი იყო ყველაფერი. ამ პროვოკაციაზე ადვილად წამოეგო ჩვენი ახალგაზრდობა.

არავის არ აინტერესებს, რატომ იყო, რა უნდოდა, ვინ მოიპატიჟა, რა სინდისმა შეაწუხა, ან შეაწუხა თუ არა, ძველმა დრომ გადმოაგდო თუ ეგონა მასპინძელი იქნებოდა? კუდამოძუებული უნდა გაეშვათ, იმდენი კითხვებია. გაგდებაზე და ყვირილზე ადვილი რა არი.

# მიშა ჩარკვიანისთვის კოლეგების გულგრილობა მიუღებელია



რეჟისორ მიშა ჩარკვიანისთვის კოლეგების გულგრილობა მიუღებელია. ხელოვანი ქართულ თეატრს სამარცხვინოს, ფუნქციადაკარგულს და გაზულუქებულ პარაზიტს უწოდებს:

– „ჩვენ უნდა დავასრულოთ ეს საძაგელი ცივი ომი“ – მომწერა მოსკოვის ერთ-ერთი მსხვილი თეატრალური ფესტივალის დირექტორმა, როცა თებერვალში უარი ვუთხარი ფესტივალში მონაწილეობაზე რუსული ოკუპაციის გამო.

ვუთხარი, რომ ომი შეიძლება მათთვის ცივია, მაგრამ ჩვენთვის სულ არაა ასე. ჩვენთან ყოველდღიურად ცვლიან საზღვარს, ხშირად იტაცებენ ადამიანებს, რომლების ნაწამებ ცხედრებს მთელი თვე ველოდებით, უფრო ხშირად კი იტაცებენ და 300 ლარს ითხოვენ ოჯახებისგან, რაც ალბათ არც წარმოგიდგენიათ რამდენია ოკუპირებულ საზღვართან მცხოვრები გლეხისთვის, რომელსაც არავითარი დახმარება არა აქვს სახელმწიფოსგან.

თვითონ შევხვდი და რა წამსაც სოფლის გამგებელი მოგვშორდებოდა და მიხვდებოდნენ, რომ მე მთავრობის მიგზავნილი არ ვარ, იწყებდნენ ლაპარაკს თავიანთ ყოველდღიურობაზე, იწყებდნენ და არ ჩერდებოდნენ. სოფლები ცარიელდება, რადგან სახელმწიფო, რომელიც წესით ყველა სიკეთეს უნდა იმეტებდეს იმისთვის, რომ რეგიონი რაც შეიძლება გაძლიერდეს და მცოცავმა ოკუპაციამ ბოლომდე არ გადაყლაპოს, მარტო ტოვებს მათ რუსი ოკუპანტების პირისპირ.

რაც არ უნდა პათეტიურად ჟღერდეს, არ მინდა მივიღო მონაწილეობა იმ ბიუჯეტით დაფინანსებულ ფესტივალში, რომელიც საოკუპაციო მავთულხლართებს აფინანსებს, რომელიც ჩემი ქვეყნის მოქალაქეების ჩასახოცად ყიდულობს ტყვიებს და თუ ამას ვერ ხვდებით ხელოვნების სფეროში მომუშავე ადამიანები, ან სხვა მოქალაქეები, ჩადით გივი ტატუნაშვილთან წეროვნის დევნილთა დასახლებაში, ჩადით და მოუსმინეთ მხიარულ ისტორიებს აჩიკოზე, რომელსაც ისე ყვება, რომ გულს გაგიხვრეტს და მერე ველარ გააგრძელებ ცხოვრებას ისე, როგორც იქამდე ცხოვრობდი.

– სასტუმრო „პეკინი“ რუსეთში ჩემ ახალგაზრდობაშიც კი საუკეთესო იყო – კმაყოფილებით და სიხარულით სავსე ხმით უთხრა მოსკოვში გასტროლზე მიმავალ ახალგაზრდა მსახიობს შედარებით ხანშიშესულმა, როცა თეატრში ტექნიკური საკითხების შესათანხმებლად მივედი, და მაშინ გავიფიქრე, რომ ქართული თეატრი არის სამარცხვინო, ფუნქციადაკარგული, გაზულუქებული პარაზიტი, რომელსაც წვეთი სოლიდარობა არ გააჩნია, არათუ გივი ტატუნაშვილის მიმართ, არამედ თავისივე თანამშრომლის, რომელსაც სამხატვრო ხელმძღვანელი გაგდებით ემუქრება განსხვავებული აზრის ქონის გამო.

ჩვენ ვხედავთ ქართველ მსახიობებს და რეჟისორებს, რომლებიც ძირითადად ხელფასზე, დაფინანსებაზე, დაუფასებლობაზე წუწუნებენ ტელეეკრანიდან, რომელზეც ზუსტად ორი წუთის წინ გავიდა ნიუსი იმ ქალზე, რომელმაც გორის საზოგადოებრივ ტუალეტში, რომელიც ღამის გასათევად ქირავდება, იმშობიარა.

ძვირფასო კოლეგებო, თქვენი გულგრილობა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების, ოკუპაციის, სიღატაკის, ადამიანთა უფლებების, ძალადობის და სხვა მრავალი საკითხის მიმართ სირცხვილია და ჩვენამდე „ზურგით მოთრეული თეატრი“ ამ სირცხვილს არ კომპენსირებს!

# თორნიკე ბზიავა: „ძირს ყველა დროის ძალადობა!“



მსახიობი და რეჟისორი თორნიკე ბზიავა ყველა დროის ძალადობას გმობს:

– ძირს ყველანაირი წვრილ-წვრილი ინტერესები. ძირს ყველა დროის ძალადობა!

ერთმანეთის ზიზღი, „ანგელოზთა“ მარათონში გამარჯვების მცდელობით“ და მონაცვლეობით! ერთადერთი პარტია აქ საქართველოა.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ ერთიან ქვეყანას.

# სამგლოვიარო განცხადებები

## უცხოეთიდან გალში საგვარეულო სასაფლაოზე



გალში დაბადებული და გაზრდილი

**შალვა (ტუნტუ) ჯულუნის ძე ჯონჯუა**

თერგდალეულთა გზას გაუდგა. სანკტ-პეტერბურგში სწავლა-განათლების მიღების შემდეგ ოჯახი შექმნა და ცხოვრებისეული კარიერაც გაიკეთა.

აფხაზეთის ტრაგედიის შედეგად საკუთარი ფუძიდან აყრილი ახლობელი ადამიანები შეიფარა, დაეხმარა და უცხო მხარის ადაპტირებაში შეუწყო ხელი. სულ ფიქრობდა აფხაზეთში დაბრუნებაზე თავისიანებთან ერთად.



„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა!“ – ბატონ შალვას უკურნებელი სენი შეეყარა და გარდაიცვალა. მისი ანდერძისამებრ, დამ – დინა ჯონჯუამ ჩამოასვენა და საკუთარ საგვარეულო სასაფლაოზე მშობლებს შორის მიუჩინა სამუდამო ბინა.

დიდებული პიროვნების, ძვირფასი ნათესავის, შესანიშნავი მეგობრისა და მეზობლის შალვა ჯონჯუას სამარადისო ხსენება იყოს აწ და მარადის, ამინ!

ნათესავების, მეგობრებისა და მეზობლების სახელით,

**რაჟდენ ქარდავა**

## არდავიწყება მადლია ღვთისა

ძირძველი სამურზაყანოს, დღევანდელი გალის რაიონს ახსოვს ულამაზესი ოჯახი, ფიზიკური და სულიერი სილამაზით განთქმული მშვენიერი წყვილი



**მარო ჯონჯუა-გელენავა**

და

**ბორის გელენავა**



მათი განათლება, კულტურა და სტუმრის მიღების კოლხური წესი აჯადოებდა საზოგადოებას. თანამედროვეების გადმოცემით, მათი სავიზიტო ბარათი იყო ფიზიკური სრულყოფილება და სულიერი სამყარო, რომელიც ზეციურ მოვლენად აღიქმებოდა.

მათი გენეტიკის ნაყოფი – ქალიშვილი ლორა გელენავა-ხუბუტია ქართულს ასწავლის არალეგალურად ოკუპირებულ აფხაზეთში.

ასეთი მშობლების მოგონება, გახსენება, არდავიწყება მადლია ღვთისა.

უფროსი თაობის ინტელიგენციის სახელით,

**რაჟდენ ქარდავა**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# ანიტა რაჭველიშვილი: „არ ვიმღერებ რუსეთში ამ ქვეყნის პოლიტიკის გამო!“



ოპერის მომღერალმა ანიტა რაჭველიშვილმა ყველანაირი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად რუსეთში მის სიმღერასთან დაკავშირებით საჯარო განცხადება ინტერნეტით რუსულ ენაზე გაავრცელა:

– მე მიყვარს რუსი ხალხი, რომელიც პატივს სცემს საქართველოს და ჩვენს ტერიტორიებს.

მე მიყვარს რუსული კულტურა, რუსული ლიტერატურა, რუსი პოეზია, ხელოვნება და მუსიკა.

მე დიდი სიამოვნებით და პატივისცემით გავაგრძელებ არაჩვეულებრივი რუსული სიმღერების შესრულებას იმიტომ, რომ რუსული კლასიკური მუსიკა – ერთ-ერთი საუკეთესოა დედამიწაზე, მაგრამ არ ვიმღერებ რუსეთში ამ ქვეყნის პოლიტიკის გამო! დიქტატორი პუტინის გამო და იმიტომ, რომ პუტინი კლავს ჩვენს ხალხს და იპარავს ჩვენს მიწებს.

გთხოვთ, გაიგოთ ჩვენი ტკივილი და მხარი დაუჭიროთ საქართველოს და უკრაინას ამ ომში პუტინთან!

და კვლავ მათთვის, ვინც ვერ გაიგო: მე მიყვარს რუსი ხალხი მთელი გულით, მაგრამ პუტინი – ეშმაკია და ის უნდა შევაჩეროთ!

მადლობა თითოეულ თქვენგანს.

სიყვარულით და პატივისცემით, ანიტა!

# რატი ამაღლობელი: „საბოლოოდ გააუქმეს წიგნის ცენტრი და მწერალთა სახლი“



პოეტი რატი ამაღლობელი წიგნის ცენტრის და მწერალთა სახლის გაუქმებას აპროტესტებს, რადგან არც მწერლებთან, არც მთარგმნელებთან, არც გამომცემლობებთან, არც ორგანიზაციების თანამშრომლებთან არანაირი კონსულტაციები არ ყოფილა:

– ამ რეზინის ტყვიების ზუზუნში საბოლოოდ გააუქმეს წიგნის ცენტრი და მწერალთა სახლი, ჩუმად შექმნეს რაღაც ფონდი და დანიშნეს დირექტორი ისე, რომ ლიტერატურულ სექტორთან, მწერლებთან, მთარგმნელებთან, გამომცემლობებთან, თავად ორგანიზაციების თანამშრომლებთან, ჩვენი ყველას 2-თვიანი საჯარო ხავილის მიუხედავად, არანაირი კონსულტაცია არ ჰქონიათ.

ახლა ალბათ ყველა ამ უპასუხოდ ჩავლილი მავნებლობების შემდეგ, ეცდებიან მოიწვიონ მწერლები და უთხრან სადღეგრძელოები ბედნიერ მომავალზე. ხოდა, არ გამოვა ეს ამბავი, ჩემო ძვირფასებო.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


4 ივლისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8155

ევრო — 3.1804

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5408

100 რუსული რუბლი — 4.4627

## ამინდის პროგნოზი 4 ივლისისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“




25 ივნისიდან

ჟიულ ვერნი

**20 000 ლიე წყალქვეშ**

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

2 ივლისიდან

ანა სიუელი

**მშვენიერი შავრა**

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი





## მეგან მარკლი თავის ნათესავებს ბავშვთან არ უშვებს



სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლმა უარი განაცხადა მამის მხრიდან თავისი ნათესავები სიახლოვეს გაიკაროს, ვინაიდან მას სურს, რომ თავისი შვილი მათი ზეგავლენისგან დაიცვას.

პრინც ჰარის მეუღლემ მამასთან ურთიერთობა ქორწილის შემდეგ გაწყვიტა, რომელსაც ის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მომიზეზებით არ დასწრებია. ბოლოს ჰერცოგინიამ მამას წერილი გასული წლის აგვისტოში მიწერა, რომელშიც სთხოვა, რომ შეწყვიტოს პრესაში მასზე და სამეფო ოჯახზე თავდასხმები. მეგან მარკლმა ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა თავის ნახევარდასთან და ასევე არაერთხელ გაუკრიტიკებია მას მედიაში თავისი ნახევრძმა.

– მეგანი დარწმუნებულია, რომ მის ცხოვრებაში მამისა და მისი მხრიდან ნათესავების ადგილი არ მოიძებნება. მას მყარი ოჯახი ჰყავს მეუღლე ჰარისთან და ბავშვთან ერთად და ყველას გასაგებად აგრძნობინა, რომ სურს არჩი მხოლოდ დადებითი ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდეს, – განაცხადა სამეფო ოჯახთან დაახლოებულმა წყარომ და იქვე დაამატა, რომ სამეფო ოჯახი კმაყოფილია იმით, თუ როგორ მოაგვარა მეგანმა მამასთან კონფლიქტი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

მამა შვილთან ერთად ქუჩაში მიდის და უცბად ბავშვს ეკითხება:

– შვილო, ამ სკოლაში სწავლობ?

– კი, მამა.

– 20 წლის წინ მეც ამ სკოლაში ვსწავლობდი.

– ახლა ვხვდები, რას გულისხმობდა ჩვენი დირექტორი, როდესაც მეუბნებოდა, რომ ჩემნაირი უტვინო უკვე 20 წელია არ უნახია.

•••

ერთი მამაკაცი მეორეს უყვება:

– მივლინებიდან სახლში დავბრუნდი, მაშინვე კარადას ვეცი – ცარიელია, საწოლის ქვეშ შევიხედე – ცარიელია, მაცივარში – ცარიელია...

– და ცოლმა რა გითხრა?

– რა ცოლი, ცოლი საერთოდ არ მყავს, სახლი გამიქურდეს.

•••

სომხეთის რადიოს ეკითხებიან:

– რატომაა, რომ დაქორწინებული მამაკაცები სუქდებიან.

– უცოლო მამაკაცი საღამოს ბრუნდება სახლში, აღებს მაცივრის კარს, ხედავს, რომ ცარიელია და დამწუხრებული მიდის დასაძინებლად. ცოლიანი კი ბრუნდება სახლში, შეიხედავს საძინებელში, დაინახავს ცოლს და შემდეგ სამზარეულოში მაცივართან მიდის დამწუხრებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ქეთათო პოპიაშვილი ინტელექტუალური საკუთრების მიტაცებას აპროტესტებს



ირაკლი ჩარკვიანის მეუღლე ქეთათო პოპიაშვილი მეფის მუსიკის უდიდეს მასშტაბურობაზე საუბრობს და სხვისი საკუთრების, ინტელექტუალური საკუთრების მიტაცებას აპროტესტებს:

– ირაკლის მუსიკა თავისი მასშტაბით იმდენად დიდია და დროსთან მიმართებაში მისი აქტუალურობა იმდენად მზარდი, რომ არაერთხელ ყოფილა მცდელობა მისი კომპოზიციის სხვადასხვა პოლით, თუ სამოქალაქო ჯგუფების მხრიდან საკუთარი პიარმიზნებისთვის მიტაცება-გამოყენების.

როდესაც ქვეყანაში ვითარება იძაბება და ალბათ დამეთანხმებით, რომ ისეთ გარემოში გვიწევს ცხოვრება, სადაც პოლიტრყევების ამპლიტუდა საკმაოდ მაღალია, ყველას უნდება ის, ყველაზე მართალი სიტყვა, რომელსაც ასეთივე უკომპრომისო ცხოვრების წესით გაჯერებული მელოდია და ძლიერი მეტაფორა უმაგრებს ზურგს. უნდათ საკუთარ ახლომხედველურ მიზნებს მოახმარონ, ფონს გავიდნენ, კაი ტიპებად იგრძნონ თავი.

ამის იმდენი მაგალითის მომსწრე ვარ, რომ სათვალავიც ამერია, სხვადასხვა მარგინალი პარტიების წინასაარჩევნო მარათონების ბიძგის მიმცემ მუხტად გამოუყენებიათ, თქვენ წარმოიდგინეთ და ნაცისტური წარმონაქმნის ჰიმნიც ყოფილა თურმე, ყოფილი პრეზიდენტების დაბრუნების ერთადერთი იმედიც „მძინარე მზეთუნახავისთვის“ ძილის დამფრთხობიც და რომელიღაც ჩინოვნიკისთვის თვალის ასახვევადაც გაჟღერებულა.

ყველას ჩვენი ხედვა გვაქვს და გვინდა, რომ ცოტათი მაინც უკეთეს გარემოში ვიცხოვროთ, ვიცოდეთ, რომ კონსტიტუცია არის უზენაესი, რომ ადამიანის უფლებები არის დაცული განურჩევლად სქესისა, კულტურული კუთვნილებისა და აღმსარებლობისა და, რა თქმა უნდა, მიუხედავად სექსუალური ორიენტაციის. გვინდა, რომ ყველანი დაცულად ვგრძნობდეთ თავს. ამაზე ხომ ვთანხმდებით?!

როდესაც ოკუპაციას, უსამართლობას აპროტესტებ, შენ თვითონ სხვისი საკუთრების, ინტელექტუალური საკუთრების სათვალიანო მაღალო ყმაწვილო მიმტაცებლად არ უნდა მოგვევლინო, რაღა თქმა უნდა, თუ გინდა შენი გულანთებულობის ვინმეს ჯეროდეს და შენს ქმედებებში თანმიმდევრული იყო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## სახლის ეზოში პუმას და კოიოტების კონფლიქტი ვიდეოზე აღბეჭდეს

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ლოს-გატოსში პუმას და კოიოტების დაპირისპირება საცხოვრებელი სახლის უკანა ეზოში მოხდა. ამის ამსახველი ვიდეო, ერთ-ერთმა ადგილობრივმა ინტერნეტგამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლის ავტორმა მონიკა ჰილბერტმა განაცხადა, რომ ხმამაღალი ყეფის ხმა გაიგონა. როდესაც ფანჯარაში გაიხედა, შოკში აღმოჩნდა, როდესაც დაინახა, რომ მისი სახლის უკანა ეზოში გარეული ცხოველები ჩხუბობდნენ. კადრებში ჩანს, როგორ მირბის ორი კოიოტი პუმასთან და ცდილობენ თავს დაესხან, შემდეგ პუმა ერთ-ერთ მათგანს შეუტევს და გაეკიდება.

ჰილბერტის თქმით, სახლის მახლობლად კოიოტებს სორო აქვთ გაკეთებული, რომელშიც ისინი თავის ლეკვებთან ერთად ბინადრობენ. შესაძლოა ისინი თავიანთი პატარების დაცვას ცდილობდნენ.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 2. ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 3. საზეიმო წვეულება, დარბაზობა; 5. უბანი ძველ თბილისში; 6. აქლემის, ცხენის რძისგან მომზადებული სასმელი; 8. ქართველი თეატრალური რეჟისორი; 11. პოლონელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 13. შვეიცარიელი მხატვარი; 14. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 15. სტრუქტურა, მთლიანობა, რომელიც შედგება ერთმანეთთან კანონზომიერად დაკავშირებული ნაწილებისგან; 19. ხმელთაშუა ზღვისპირა კურორტი საფრანგეთში.

**თარაზულად:** 1. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 4. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 7. სირიის დედაქალაქი; 9. სომეხთა მღვდელი; 10. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 12. ქართული წარმოშობის რუსი კომპოზიტორი, ქიმიკოსი; 16. ქართული ხალხური ცეკვა; 17. ჩეხეთის ისტორიული სახელწოდება; 18. მუზეუმი ბერლინში; 20. აეროპორტი რომში; 21. წყალქვეშა კლდე ზღვაში, ოკეანეში; 22. წიგნის, სტატიის მოკლე შინაარსი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*





რან ჩან ვან + მა ინ ლონ

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ






ჯიან პი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი




გუი ფუ დი ჰუანგ ვან + ჩუნ ცაო

აუმჯობესებს პოტენციას







ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/